

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის
დირექტორს, პროფესორ ვია ჯაიანს**

ბატონო ვია, წარმოგიდგინებ ჩემი მიმდინარე წლის ინდივიდუალური სამეცნიერო საკვლევითი თემის მოკლე ერთწლიან ანგარიშს. ამასთან, ანგარიშს თან ვურთავ 2007 წლის 18 მაისს ჩემს თქვენდამი გაკეთებულ მიმართვის ასლს.

მიმართვის პირველი პუნქტით ხაზი ესმებოდა იმას, რომ „ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 2007 წლის 16 მაისის სემინარზე ჩემ 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე „ლინგვისტური მიმართებისა და ლოგიკური ბრუნების საკითხისათვის ქართულში“ (კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, (№1), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005, 19-77) თსუ უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ჯემალ ანთიძემ ჯერ თქვა, რომ მასში არაფერი ახალი არ იყო და რომ იქ განხილული საკითხები მე საზღვარგარეთელი ავტორებისგან მქონდა აღებული, მერე კი, როცა მის სამარცხვინო ტყუილს ძალზედ მოკლე ფეხები აღმოაჩნდა, ის თქვა, რომ იქ რაც იყო უკვე დიდი ხნის წინ ქონდათ გაკეთებული სხვა ავტორებს (იგულისხმება ადგილობრივი ავტორები).“ იქვე, ამავე მიმართვის ეს პუნქტი შემდეგით გრძელდებოდა „წარმოგიდგინებ ზემოხსენებულ ნაშრომს და უკვე არსებული შეთანხმების შესაბამისად გთხოვთ ოფიციალურად დაავალოთ მას მისი რეცენზირება. – მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მიზეზს გამოძენის და წერილობითი ფორმით თავისი პოზიციის დაფიქსირებას თავს აარიდებს.“

ბატონო ვია, ის, რომ დღემდე ბ-ნ-მა ჯ. ანთიძემ ვერ წარმოადგინა თქვენგან მასზედ დავალებული კრიტიკული რეცენზია, ვფიქრობ გასაგებს ხდის იმას, თუ რა მოხდა 2007 წლის 16 მაისის საინსტიტუტო სემინარზე. – 7 თვე სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ მას დაესაბუთებინა თავისი წილისმწამებლური განაცხადები! – როგორც უკვე მოგახსენეთ, პირველად, ჩემსა და ბ-ნ ჯ. ანთიძეს შორის მსგავსი ინციდენტი მოხდა 1995 წელს. მაშინ საქმე იმ დროს გმი-ის ასპირანტის თ. კუციას სადისერტაციო ნაშრომს ეხებოდა. ის ინციდენტი ამოიწურა იმით, რომ მან მე ბოლიში მომიხადა, რის შემდგომაც ჩვენ კიდევ წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდით.

ბატონო ვია, 2007 წლის 16 მაისის ინსტიტუტის სემინარზე, ანუ იმ სემინარზე, რომელზედაც ეს ზემოხსენებული ინციდენტი მოხდა, მე გავაკეთე მოხსენება თემაზე „ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნებისა და ამოცანების შესახებ“, რის შესახებაც ამავე მიმართვის 2 პუნქტში გწერდით „2007 წლის 16 მაისის ინსტიტუტის სემინარზე მე გავაკეთე მოხსენება თემაზე „ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნებისა და ამოცანების შესახებ“. სემინარზე შევეცადე საინსტიტუტო საზოგადოებისათვის გამეცნო ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნების პირდაპირი კავშირები ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების მიზნებთან. ამასთან, ჩემი ამოცანა იყო გამომეკვთა ინსტიტუტის პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რაც, ბუნებრივია, წაადგებოდა იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელთა არგადაწყვეტის შემთხვევაში ქართული ენის ბედ-იღბალი კითხვის ნიშნების ქვეშ რჩება (მხედველობაში მაქვს როგორც ამ მიმართულებით აუცილებლად საწარმოებელი საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესები, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზება აქ საწარმოებელი კვლევითი პროცესებისა). ის, რომ თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ფარგლებში კვლევას თსუ მკვლევარის

სტატუსით მხოლოდ ერთი კაცი აწარმოებს, (მხედველობაში მყავს ჩემი თავი) ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი ყოვლად გაუმართლებელი დამოკიდებულებაა. ჩემი ინდივიდუალური საკვლევი თემის დასახელებაა „ქართული ენის ლოგიკისა და ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები“. ამ თემის ფარგლებში მე ვთანამშრომლობ „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდულ ჯგუფთან“. მიუხედავად არასამუშაო პირობებისა მე მზადვარ საანგარიშო მოხსენების სახით წარმოვადგინო ჩემი კვლევების შედეგები. ამასთან, მოგახსენებთ, რომ შედეგთა დასრულებული წარმოჩენისათვის ერთი ერთსაათიანი სემინარი არ იქნება საკმარისი.“ – ბატონო გია, მიუხედავად იმისა, რომ უარს ვამბობ სახელშეკრულებო პირობებით თანამშრომლობაზე, შესაბამისად თქვენს მიერ უკვე საანგარიშო მოხსენებაზე გაკეთებული განაცხადისა, დარწმუნებული ვარ მომეცემა საშუალება აქ მოთხოვნილი მოხსენების გაკეთებისა.

და ბოლოს, ბატონო გია, იმ ჩემთვის არასასიამოვნო ინციდენტის შესახებ, რომელიც 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე მოხდა. საქმე ისაა, რომ თსუ ასოცირებულმა პროფესორმა ჯ. ანთიძემ, ითხოვა რა სიტყვა, სანიშნოდ მიმოიხილა ჩემი 2005 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომის ერთი შემადგენელი და მას ყოვლად არამართებულად სისულელე უწოდა, მერე თქვა, რომ მთელი ნაშრომი ასეთი სისულელებით არის სავსე და ამას ისიც დაუმატა, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, უტოპიაა. არადა 2003 წელს, ჯ. ანთიძემ, მხარდაჭერითი შინაარსით ხელი მოაწერა თსუ იმდროინდელი რექტორისადმი იმის კეთების აქტუალობის მასაბუთებელ მიმართვას, რასაც მან 2008 წლის 7 თებერვალს უტოპია უწოდა. – არადა, წესით, 2003 წელს აქტუალური საკითხი 2008 წელს უტოპიურად არ უნდა ქცეულიყო!

ამასთან, მან, მისი ამ წლებანდელი თვალსაზრისით, რომელიც განსხვავდება მისივე ხუთი წლის წინანდელი თვალსაზრისისგან, ჩემს ამ მისი აზრით უტოპიურ მიდგომებს დაუპირისპირა ე.წ. ცხრილური მეთოდი, რის შემდგომაც სასემინარო აუდიტორიას ვრცლად და ემოციურად გააცნო ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მისცეს უცხოელმა ექსპერტებმა მის პროექტს, რომელიც, როგორც ჩანს ცხრილურ მეთოდს ეფუძნება, არასათანადო, ანუ საკმაოდ დაბალი შეფასება. – აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენმა ჯგუფურმა პროექტმა (კ. ფხაკაძე, კ. გაბუნია, გ. ჩიჩუა) იმავე კონკურსში უცხოელი ექსპერტებისგან ერთი 92 ქულიანი და ერთი ფაქტობრივ 93 ქულიანი შეფასებები მიიღო.

ჩემს საპასუხო გამოსვლაში მე მას შევახსენე, რომ ამ საკითხთან მიმართებაში იგი უკვე მეორედ იყენებს მეცნიერისთვის შეუფერებელ ქცევით ფორმებს და კიდევ ერთხელ ვთხოვე წერილობითი ფორმით გამოეხატა მისი მოსაზრებები და ამ მოსაზრებების დამადასტურებელი მისეული არგუმენტები! - ბატონო გია, ვთხოვთ დაავალოთ მას წერილობით დააფიქსიროს თუნდაც ის ერთი – იმ დღეს სემინარზე მის მიერ შემჩნეული და სასემინარო აუდიტორიასთან სანიშნოდ გამოტანილი საკითხი. ამ შემთხვევაში მე მას წერილობითვე ვუპასუხებ, რაც, ცხადია, წაადგება ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის ახლა ფორმირების პროცესში მყოფი სამეცნიერო მიმართულების წარმატებული ფორმირების საქმეს.

მოგეხსენებათ, რომ მეცნიერება უპირველეს ყოვლისა არის შეცდომებისა და დაზუსტებული შეცდომების დროში თანდათანობით მიმდინარე პროცესი, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის პიროვნული ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებების დაპირისპირებასა და კრიტიკულ შეჯერებას, რაც, ბუნებრივია, ხერხდება და რეგულირდება აკადემიური ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფორმების დაცვით, რომელთა შორის საკამათო საკითხის წერილობითი განხილვა ერთ-ერთი ძირითადია. – ის, რომ ჯ. ანთიძე თავს არიდებს საკითხის წერილობით ფორმატში განხილვას, მით უფრო

მაშინ, როცა საკითხი ორგანულად უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს, მას კარგად არ ახასიათებს. გარდა აღნიშნულისა, დღეს, ასეთი წერილობითი პასუხის აქტუალობას განაპირობებს აგრეთვე ის, რომ საბაკალავრო თემის ფარგლებში ჩემთან თსუ მათემატიკის ინსტიტუტის ოთხი სტუდენტი თანამშრომლობს. აქედან გამომდინარე, ეს წერილობითი პასუხი მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან თუ ის, რასაც მე ვაპირობებ და ვაკეთებ მართლა უტოპია, იქნებ აღარ მოგვეცდინა ეს სტუდენტები და ამ უტოპიურ საქმიანობაში აღარ ჩაგვება?!

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, 2006 წლის 16 მაისის სემინარზე მან მე პლაგიატობა, ანუ ქურდობა დამწამა. მერე კი, როგორც თქვენგან ვიცი, თქვენთვის უთქვამს, რომ ეს მან თქვა არა ჩემს მიერ მიწოდებულ სტატიაზე, არამედ ჩემს სხვა სტატიაზე. – აქედან გამომდინარე, მე წარმოგიდგინებ ჩემი სამეცნიერო შრომების სრულ სიას და გთხოვთ დაავალთ მას მოიძიოს ჩემი ის სტატია, რომლის გამოც მე იგი პლაგიატობას, ანუ ქურდობის ყველაზე ცუდ ფორმას მწამებს! – ან არადა, მოიძიოს ძალები და თუნდაც მხოლოდ თქვენი, ბატონი თამაზისა და ბატონი დავითის თანდასწრებით კიდევ ერთხელ მოიხადოს ბოდიში მისივე არაღირსეული ქცევისთვის. – ყველა სხვა შემთხვევაში, მე მას ყოველთვის გავცემ პასუხს და არასდროს არცერთ მის კითხვას უპასუხოდ არ დავტოვებ, მაგრამ, ამავდროულად, ჩემი ყველა ასეთი პასუხი დაიწყება იმით, რომ იგი ცნობილი წილისმწამებელია. – სხვათაშორის შემჩნეულია ის, რომ ადამიანები, რომლებიც სხვებს უსაფუძვლოდ ქურდობას აბრალებენ, როგორც წესი თავადვე არიან მიდრეკილნი ასეთი უღირსი ქცევებისკენ.

ბატონო გია, მიუხედავად იმისა, ჯ. ანთიქე წარმოადგენს თუ არა თავის კრიტიკულ მოსაზრებებს წერილობითი ფორმით, მე ამ მომართვით მოთხოვნილ საანგარიშო სემინარზე აუცილებლად ვუპასუხებ ჩემს 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე „ლინგვისტური მიმართებისა და ლოგიკური ბრუნების საკითხისათვის ქართულში“ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ ეს ნაშრომი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზანთა ჭრილში და მასში მრავლად არის სამეცნიერო თვალსაზრისებით მეტად მნიშვნელოვანი განაცხადები.

პატივისცემით, კ. ფხაკაძე.
2008 წლის 26 თებერვალი.

გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია:

ა) მონოგრაფიები:

1. К. Пхакадзе (соавторы), *Элементы Парафазной Логики и её Приминение*, Труды ИПМ, т 35, 1989 5-205;
2. კ. ფხაკაძე, პროპოზიციული i -ალგებრა და მისი გამოყენებანი, დეპონირებულია „ტექნიფორმში“, 1993, 1-98;
3. კ. ფხაკაძე, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნება, პირის ნიშანთა საკითხი, ინტეგრალური და არაინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსები და ქართული ზმნის არასრული ანუ პირველი სემანტიკური კლასიფიკაცია, დამატებითი საკითხავი კურსი თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში, თბილისი, „უნივერსალი“, 2004 (2006 მეორე გამოცემა), 72-152;
4. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ლოგიკური ბრუნებისა და ლინგვისტური მიმართებების საკითხისათვის ქართულში, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, იანვარი-ივნისი (№1), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005, 19-77;

ბ) სტატიები:

5. К. Пхакадзе, Δ -исчисление, Труды Института Прикладной Математики имени И. Н. Векуа, т. 38, 1990 (41-46);
6. К. Пхакадзе, Об Одном Алгоритме в Алгебре Логики, Труды Института Прикладной Математики имени И. Н. Векуа, т. 38, 1990 (47-52);
7. К. Пхакадзе, Δ -алгебра, ДОКЛАДЫ Семинара Института Прикладной Математики имени И. Н. Векуа Т. 22, 1993, (65-71);
8. К. Pkhakadze, Propositional I -Algebra and a Strongly Fictitious Variable in Proposotional Algebra, REPORTS of Enlarged Sessions of The Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Vol. 8, №3, 1993 (71-74);
9. კ. ფხაკაძე, i -ალგებრა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1995;
10. К. Pkhakadze, Towards a Notion of Incompletely Defined Sets, REPORTS of Enlarged Sessions of The Seminar of I. Vekua IAM, Vol.10, №3,1 995 (62-65);
11. К. Pkhakadze, $MG(MG^=)$ -Resolution and Its Soundness and Completeness in a Theory $T(T^=)$, Proceedings of the II Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, edited by Robin Cooper, Thomas Gamkrelidze, Tbilisi State University, 1997, 242-251;
12. К. Pkhakadze, Herbrand Functional Q -domains, Herbrand Q -interpretations and Properties MGR_Q -resolutive Inferences in the Second Order Q -theories, REPORTS of Enlarged Sessions of The Seminar of I. Vekua IAM, Vol. 13, №4, 1998 (77-80);
13. К. Pkhakadze (with co-author), Towards the Strong Formal Logical Understanding of the Word Based on the Natural Georgian Language System, Annals of the Court-Godel-Society, Volume N5, Vienna, 2002 (70-73);
14. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ფორმალურ-ლოგიკური იზომორფიის (ადეკვატის) მოძიების მიზნით, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, „ივერია“ ტ. VI, პარიზი, 2001, 129-148;
15. კ. ფხაკაძე, სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირების შესახებ, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, „ივერია“, ტ. VII-VIII, პარიზი 2001 – 2002, 117-126;
16. К. Pkhakadze (with co-author), About the Main Ideas of the Direct Formal-Logical Description of the Georgian Natural Language System through One Example, Reports of Seminars I. Vekua IAM, Vol.29 2003, (11-14),
17. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის ცნებისა და მარტივი და ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის I რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2003, 37-39;

18. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), წარმოადგენენ თუ არა ლოგიკური, პროგრამული და ბუნებრივი ენობრივი სისტემები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ტიპის სემანტიკურ სისტემებს?, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის I რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2003, 17-19;
19. K. Pkhakadze (with co-authors), About the Main Ideas of the Direct Formal-Logical Description of the Georgian Natural Language System Through the Examples, Proceedings of the V Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, ILLC, University of Amsterdam, CLLS, Tbilis State University, 2003, 129-137;
20. კ. ფხაკაძე, ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ერთი ფრაგმენტი როგორც სიმრავლურ თეორიული სისტემა, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, „ივერია“, ტ.X-XI, პარიზი 2003–2004, 104-116;
21. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), წარმოადგენენ თუ არა ლოგიკური, პროგრამული და ბუნებრივი ენობრივი სისტემები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ტიპის სემანტიკურ სისტემებს? – ანუ ენობრივი ნიშნისა და ჩვენეული ენობრივი მსოფლხედვის შესახებ, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, „ივერია“, ტ. X-XI პარიზი 2003 – 2004, 220-248;
22. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ბუნებრივ ენათა დამუშავების თანამედროვე პრობლემეტიკა და ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის II რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2004, 26-27;
23. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ქართული ენის ბირთვული ნაწილის კომპიუტერული მოდელი და მარტივი წინადადების სინტაქსური სინთეზატორი და ანალიზატორი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის II რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2004, 38-40;
24. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის ძირითადი მიზნებისა და მეთოდების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი „პერსპექტივა XXI“, თბილისი 2004, 220-224;
25. K. Pkhakadze (with co-author), About Main Ideas of Direct Formal-Logical Description of the Georgian Language, PROCEEDINGS of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Vol. 53, Tbilisi, 2004, 33-40;
26. კ. ფხაკაძე, წინათქმა ანუ ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, (№1), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005, 1-19;
27. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკა და თანამედროვე სასწავლო მიზნები, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, იანვარი-ივნისი (№1), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005, 155-160;
28. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა და მისი ზოგიერთი გამოყენებანი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის III რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2005, 30-32;
29. კ. ფხაკაძე, გლობალიზაცია, ქართული ენა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, (№2), თბილისი, „უნივერსალი“, 2005, 1-11;
30. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), „ქართული ენის სინტაქსური საფეხურის კომპიუტერული მართლმწერის ერთი ექსპერიმენტის შესახებ, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, ივლისი-დეკემბერი (№2), თბილისი, „უნივერსალი“ 2005, 62-65;
31. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), „ნატურა“ ტიპის ზმნური სემანტიკები და პრინციპული განსხვავებები ქართულ და ინდოევროპულ უღლებებს შორის, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, ივლისი-დეკემბერი (№2), თბილისი, „უნივერსალი“ 2005, 66-81;
32. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), ქართული ენის ზოგადი კვანტორულ-პრედიკატული ანალიზი და ლოგიკური ამოცანების ამომხსნელი პირველი ექსპერიმენტული პროგრამა ქართულისათვის, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, ივლისი-დეკემბერი (№2), თბილისი, „უნივერსალი“ 2005, 82-87;

33. კ. ფხაკაძე, (თანაავტორებით), ქართულ-გერმანული მთარგმნელი და I საფეხურის პროგრამული სინთეზატორი და ანალიზატორი ქართულისათვის, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, ივლისი-დეკემბერი (№2), თბილისი, „უნივერსალი“ 2005, 88-91;
34. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ - მიზნები, შედეგები, პერსპექტივები, 2006 (2004 პირველი გამოცემა), 1--22;
35. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), მორფემების მათემატიკური ფუნქციებისა და წინადადებებში სიტყვათშორისი ცარიელი ადგილების პრობლემა ქართული ენის მიხედვით, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2006 (16-18),
36. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), თსუ მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ და ქართული ენისა და მეტყველების მათემატიკური და მანქანური დაფუძნების ამოცანების შესახებ, თსუ გმი III რესპუბლიკური სასემინარო კვირეული „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“, სასემინარო კვირეულის მოხსენებები, 2007 (3-6);
37. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), თსუ მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ და ქართული ენის ლოგიკისა და ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საგანმანათლებლო დატვირთვების შესახებ, თსუ გმი III რესპუბლიკური სასემინარო კვირეული „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“, სასემინარო კვირეულის მოხსენებები, 2007 (6--9);
38. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), ქართული ენის, ქართული ენის ლოგიკისა და მათემატიკური ლოგიკის ინტეგრირებული სწავლების შესახებ, თსუ გმი III რესპუბლიკური სასემინარო კვირეული „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“, სასემინარო კვირეულის მოხსენებები, 2007 (9-18);
39. კ. ფხაკაძე (თანაავტორით), სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიღწეული შედეგებისა და მისაღწევი მიზნების ანუ ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების აუცილებლობის შესახებ, თსუ გმი III რესპუბლიკური სასემინარო კვირეული „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“, სასემინარო კვირეულის მოხსენებები, 2007 (22-52);
40. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), კომპიუტერი ქართული ტექსტების წაკითხვას შეძლებს, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის V რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2007 (25-27);
41. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ქართული ენის ბუნებრივი ლოგიკის სასაფუძვლო საკითხები, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის V რესპუბლიკური კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება“, კონფერენციის მასალები, თბილისი 2007 (18-21);
42. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტში მათემატიკური ლინგვისტიკის სწავლების კონცეფცია, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, (№№3-6), „უნივერსალი“, 2006-2007, გვ. 5-44;
43. ცისფერი მთები, ანუ იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, №№3-6, „უნივერსალი“, 2006-2007, გვ. 112-177;
44. ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის რეფორმით ბლოკირებული საუნივერსიტეტო სწავლებათა აღდგენის აუცილებლობის შესახებ, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, №№3-6, „უნივერსალი“, 2006-2007, გვ. 45-53;
45. (თანაავტორებით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის - „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ – საგრანტო ქვეპროგრამა „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური გამოყენებანი“, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, №№3-6, „უნივერსალი“, 2006-2007, გვ. 54-82;
46. (თანაავტორებით), ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ – მოხსენება წაკითხული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, №№3-6, „უნივერსალი“ 2006-2007, გვ. 110-112;

47. ქართული ენის უფლებების დაცვისათვის, ანუ „სააპელაციო“ განაცხადი საკონკურსო პროექტზე, ს-ს ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, №№3-6, „უნივერსალი“, 2006-2007, გვ. 45-53;
48. (თანავტორებით), პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ვერბალური ნაწილის არასრული კრიტიკული ანალიზი, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, რედაქტორი კ. ფხაკაძე, „უნივერსალი“, 2007 გვ. 23-40;
49. 2006 წლის ზოგადი უნარების დამხმარე მასალათა კრებულის 22-ე გვერდზე განხილული ლოგიკური ამოცანის ამოხსნის კრიტიკული ანალიზი, ანუ იმ ფაქტობრივი შეცდომის შესახებ, რომელიც ამ ამოცანის სანიმუშო ამოხსნაშია დამხმარე, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, რედაქტორი კ. ფხაკაძე, „უნივერსალი“, 2007 გვ. 40-45;
50. 2006 წლის ზოგადი უნარების დამხმარე მასალათა კრებულის 23-ე და 24-ე გვერდებზე განხილული ლოგიკური ამოცანის ამოხსნის კრიტიკული ანალიზი, ანუ იმ უხეში ფაქტობრივი შეცდომის შესახებ, რომელიც ამ ამოცანის სანიმუშო ამოხსნაშია დამხმარე, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, რედაქტორი კ. ფხაკაძე, №1, „უნივერსალი“, 2007 გვ. 45-53;
51. „გამომდინარეობს“ თუ „გამომდინარეობს აუცილებლად“, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალი“, 2007 გვ. 53-57;
52. როგორ არის გაგებული სიტყვა “ზოგიერთი“ 2006 წლის ზოგადი უნარების დამხმარე მასალათა კრებულის 22-ე და 23-24-ე გვერდებზე განხილულ ლოგიკურ ამოცანებში და როგორ გაიგება იგი ბუნებრივ ქართულენობრივ აზროვნებაში, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალი“ 2007, გვ. 57-64;
53. მოსაზრებები ლოგიკური ამოცანების შუალედური შეკითხვებისა და გამოცდების ორგანიზაციული შემადგენლების თაობაზე, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალის“ 2007, გვ. 64-68;
54. 2006 წლის ზოგადი უნარების დამხმარე მასალათა კრებულის 29-ე გვერდებზე განხილული ლოგიკური ამოცანის „სამუშაო ვერსიის“ და ზოგადი უნარების ჯგუფის ვებგვერდზე გამოქვეყნებული იმავე ამოცანის „აპრობირებული ვერსიის“ პრობლემატური კრიტიკული ანალიზი, ანუ იმის შესახებ, თუ ქართული ენის ლოგიკის არასაკმარისი შესწავლილობის გამო, როგორ გაჭირდა როგორც ამ ამოცანის ენობრივი ფორმირება, ასევე იმის გარკვევა, არის თუ არა დამხმარე მის ამ ე.წ აპრობირებულ ვერსიაში“ უხეში აზრობრივი შეცდომა, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალი“ 2007, გვ. 68-80;
55. ზოგადი უნარების 2005 წლის დამხმარე მასალათა კრებულის 19-20-ე გვერდზე წარმოდგენილი წინადადების სანიმუშო ანალიზში დამხმარე უხეში შეცდომების შესახებ, სწუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2004 წლის 18 ნოემბერს რეფორმების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სემინარზე განხილული ერთი საკითხი, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალი“ 2007, გვ. 14-23;
56. 2007 წლის ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილის ტესტური გამოცდების მოკლე კრიტიკული მიმოხილვა, ანუ იმ სააბიტურიენტო ქულაზე გავლენის მქონე შეცდომების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ერთი ტექსტისა და სამი ანალოგიის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, ანუ ჭირდება თუ არა ამ ტიპის გამოცდებს არასასამართლო სააპელაციო უზრუნველყოფა, ს-ს ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, №1, „უნივერსალი“ 2007, გვ. 14-23;

გ) თეზისები:

57. К. Пхакадзе, **ზოგიერთი შედეგები ფორმულის სრული შეცნობის პრობლემის შესახებ**, IX Всесоюзная Конференция В Теоретическое Кибернетике, Волгоградский Университет, 1990;
58. К. Pkhakadze, **Indefinite Valued Logic and Its Some Application in Mechanical Treorem Proving**, The Abstracts of I Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, Tbilisi State University, 21-25 October, 1995;
59. К. Pkhakadze, **MG(MG[≡])-Resolution and Its Soundness and Completeness in a Theory T(T[≡])**, The Thesis of the II Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, edited by Robin Cooper, Thomas Gamkrelidze, Tbilisi State University, 1997;
60. К. Pkhakadze (with . co-authors), **Logic of Language and Paradoxes**, Annals of the Court-Godel-Society, Volume N4, Vienna, 2001;
61. კ. ფხაკაძე (თანავტორებით), **მათემატიკური ლოგიკა და ბუნებრივი ენობრივი სისტემების ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის ამოცანები**, მათემატიკოსთა III კონგრესის შრომები, 2001;

62. K. Pkhakadze (with co-author), To Direct Formal-Logical Description of Georgian Language based on the Language as a Natural System, The Abstracts of the Tbilisi IV Symposium on Logic, Language and Computation, 2001;
63. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ენის ლოგიკა და პარადოქსები, მათემატიკოსთა რესპუბლიკური კონფერენცია, აკადემიკოს ილია ვეკუას საიუბილეო დღეები, თბილისი 2001.
64. K. Pkhakadze (co-author), Towards the Strong Formal Logical Understanding of the Word Based on the Natural Georgian Language System, LPAR 2002, Thesis of international Conference on The Logic for Programming, Artificial Intelligence and Reasoning, Georgia Academy of Science, October 14-18, 2002.
65. K. Pkhakadze (with co-author), About the Main Ideas of the Direct Formal-Logical Description of the Georgian Natural Language System Through One Example, The Thesis of the Tbilisi V International Symposium on Logic, Language and Computation, 2003;
66. K. Pkhakadze (with co-authors), About the Main Ideas of the Direct Formal-Logical Description of the Georgian Natural Language System Through the Examples, Thesis of the V Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, TSU, 10-15 September, 2003;
67. K. Pkhakadze (co-author), The semantic side of language productivity and the Georgian verbal inflection, Thesis of The XVII International Congress of Linguists, Prague, 2003.
68. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ქართულენობრივი აზროვნებითი სისტემის ლოგიკურ-ლინგვისტური ანალიზი \mathbb{T} აღნიშვნათა თეორიის ენობრივი მიდგომებით, საქართველოს მათემატიკოსთა IV ყრილობა, თბილისი, 2005;
70. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა და მისი მეთოდოლოგიური გამოყენებანი, საქართველოს მათემატიკოსთა IV ყრილობა, თბილისი 2005;
71. კ. ფხაკაძე (თანაავტორებით), ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კონფერენცია „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები (ისტორია, და თანამედროვე მდგომარეობა)“, 14, 16-17 აპრილი, 2007.
- გ) გამოგონებები:
72. К. Пхакадзе (соавторы), Дешифратор С Контролём, 1989;
73. К. Пхакадзе (соавторы) Парафазный Триггер, 1989;
- დ) თარგმანები:
74. ვ. გრუნველდი, ლოგიკა და ენა: ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი, მთარგმნელ-რედაქტორები: კ. ფხაკაძე, ლ. ლეკიაშვილი, დამატებითი საკითხავი კურსი თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში (რედაქტორი კ. ფხაკაძე), „უნივერსალი“ 2006 (153-192);
75. ბ. პარტი, ა. მიულენი, რ. უოლი, მათემატიკური მეთოდები ენათმეცნიერებაში – ნაკვეთი I: მათემატიკური და ბუნებრივი ენების ზოგადი ლოგიკური საფუძვლები, მთარგმნელ-რედაქტორები: კ. ფხაკაძე, ლ. ლეკიაშვილი, მთარგმნელები: ე. სოსელია, მ. ივანიშვილი, გამოცემა ს-ს ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ დამატების სახით, „უნივერსალი“, 2005 (170);
76. რ. ჰაუსერი, გამოთვლითი ენათმეცნიერების საფუძვლები – გრამატიკული თეორიები, მთარგმნელ-რედაქტორი კ. ფხაკაძე, მთარგმნელები: ლ. აბზიანიძე, ნ. ვახანია, ს. მასხარაშვილი, ნ. ფხაკაძე, ბ. ჩიქვინიძე, ს-ს ჟურნალის – „ქართული ენა და ლოგიკა“ – ყ-წ დამატება, „უნივერსალი“, №3-№6 – II ნაწილი, 2006-2007.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ბატონო დეკანო, თხოვნით, რომ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირებისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების შემდგომი აუცილებელი გაღრმავების მიზნით საბოლოოდ გადაწყვეტილიყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საკითხი, მე მივმართე ბატონ რექტორს 2007 წლის 22 ივნისს.

ბატონმა რექტორმა გამომდინარე განსახილველის სპეციფიკიდან საკითხის შესწავლა და მასზე საბოლოო დასკვნის მომზადება თქვენ დაგავალათ.

2007 წლის 29 ნოემბერს, იმის გამო, რომ საკითხი ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი იყო, მოგმართეთ თხოვნით ან განგეხილათ საკითხი საბოლოო დასკვნის მისაღებად, ან გეპასუხნათ რექტორისთვის, რადგან დრო, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაშიც როლს თამაშობდა.

იმის გამო, რომ 2007 წელი იწურებოდა და საკითხი ჯერ კიდევ პასუხ გაუცემელი იყო, 2007 წლის 24 დეკემბერს იმავე საკითხთან დაკავშირებით განმეორებით მივმართე რექტორს.

მიმართვას შემდეგი სიტყვებით ვასრულებდი: „**ბატონო რექტორო, იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ზემოსხენებული ლაბორატორიის ფორმირებისთვის აუცილებელი თანხები, მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ვაღიარებ ვიქნები ბრალი დავდო უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ჯერ ბლოკირებაში, მერე კი მის სრულ ანულირებაში! – შეგახსენებთ, რომ საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს.“**

ბატონმა რექტორმა 2008 წლის იანვრის დასაწყისში ამ საკითხის ამომწურავი განხილვა ამჯერად უკვე თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს დაავალა.

დეპარტამენტში დეტალურად იქნა შესწავლილი საკითხთან დაკავშირებული საკმაოდ ვრცელი მასალა. ამის შემდგომ განისაზღვრა საქსპერტო ჯგუფის შემადგენლობა. ექსპერტებს დაევალიათ საკითხის წერილობითი რეცენზირება. ამასთან, 2008 წლის 7 თებერვალს დეპარტამენტმა საკითხის მნიშვნელობების შესაბამისად ორგანიზება გაუკეთა ღია საუნივერსიტეტო სემინარს.

სემინარზე საშუალება მომეცა ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით დღეს მსოფლიოში გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე კიდევ ერთხელ დამესაბუთებინა ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეთა რეალობა.

სემინარი დაიხურა დეპარტამენტის წარმომადგენლის დასკვნითი სიტყვით. მან დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ თითქმის ერთოვანი განხილვის შედეგად საკითხის აქტუალობა დაადასტურა განხილვაში მონაწილე ყველა ექსპერტმა, რის საფუძველზეც დეპარტამენტში გამოიკვეთა დასაბუთებული თვალსაზრისი განსახილველი საკითხის აქტუალობის თაობაზე, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა ამ მანამდე კონფლიქტური საკითხის საექსპერტოდ გამოყოფილი ჯგუფის დაკომპლექტების იმ ერთადერთ მართებულ გადაწყვეტას, რაც დეპარტამენტში საკითხის წინასწარი შესწავლის დროს შემუშავდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ექსპერტთა შორის იყვნენ როგორც საკითხისადმი მანამდე კრიტიკულად განწყობილი (თსუ სრული პროფესორები კ. გელაშვილი, გ. სირბილაძე, მ. ხაჩიძე), ისე მომხრე (არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლ. ეზუგბაია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. გაბუნია), ასევე ამ თვალსაზრისებით ნეიტრალური ექსპერტები (მათ შორის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. კაპანაძე).

ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ განხილვის ერთ-ერთ საფუძველად იქცა 24 დეკემბრის ზემოხსენებულ მიმართვაზე თანრთული ნაშრომი სათაურით „**ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად**“, რომელიც მე თქვენ ჯერ კიდევ 29 ნოემბრის მომართვამდე მოგაწოდეთ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით რექტორმა ჩემი 2007 წლის 22 ივნისის მიმართვისა და იმავე საკითხთან დაკავშირებით 2007 წლის 24 დეკემბრის განმეორებით მიმართვის პასუხად 2008 წლის 20 თებერვალს თქვენ №2687 წერილით მოგმართათ. იმავე დღეს მე ჩემი ინიციატივით შეგხვდით თქვენ და გთხოვეთ გაგეცნოთ ჩემთვის რექტორის პასუხი, რაზედაც თქვენ მე უარი მითხარით.

მიუხედავად ამისა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ ამ წერილით რექტორი გავალებთ შემომთავაზოთ სასწავლო კურსის წარმოდგენა. ამასთან, ბატონო დეკანო, მიაქციეთ ყურადღება, წერილი, რომელიც რექტორმა თქვენთან გადმოგზავნა, კოდირებულია სათაურით **თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“**, რაც თქვენთვის არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ამ პროგრამის გარშემო უკვე იყო, ფრიად ნიშანდობლივია!

სადეპარტამენტო განხილვის შემდგომ საკითხის გასწვრივ კონსულტირებისას მე მითხრეს, რომ ფაკულტეტს უკვე მიმდინარე სემესტრშივე უფლება აქვს აქტუალური სასწავლო მიმართულების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვას აკადემიური საშტატო ერთეული. მითხრეს ისიც, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი სამილიონნახევარია და რომ ფაკულტეტს ასეთი საშტატო ერთეულის დაშვების ფინანსური საშუალებაც აქვს. ამასთან, ლაბორატორიის თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები ექვემდებარებიან და ემსახურებიან უკვე არსებულ სასწავლო მიმართულებებს, მირჩიეს, რომ მიმართვით მოთხოვნილი „**ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის**“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ფორმირების საკითხი შესაბამისი სასწავლო მიმართულების ფორმირების საკითხის შემდგომ გამეაქტიურებინა. თუმცა, მითხრეს ისიც, რომ თუ ფაკულტეტი გამოძებნის ლაბორატორიის და სასწავლო მიმართულების პარალელურად ფორმირების გზებს, უნივერსიტეტი, გამომდინარე ამ საკითხთა აქტუალობის თაობაზე უკვე გამოკვეთილი დამოკიდებულებებიდან, მხარს დაუჭერს საკითხის ასეთ სრულ გადაწყვეტას.

ბატონო დეკანო, აქედან გამომდინარე აღარ ველოდები თქვენს შემოთავაზებას და გთავაზობთ საკითხის გადაწყვეტის ჩემეულ ხედვას:

ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის, ანუ ლოგიკის, ენისა და გამოთვლების სასწავლო მიმართულების გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების მიზნებს, ფაკულტეტი უშვებს ერთ დამატებით აკადემიურ საშტატო ერთეულს. ამასთან, თქვენ მე მავალბთ და მე წარმოგიდგინთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო კურსს“. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მომავალი სემესტრის უკვე დაკომპლექტებული სალექციო ბაღე არ იძლევა თუნდაც საფაკულტეტო არჩევითი კურსის სახით „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო კურსის“ სასწავლო პროცესში ჩართვას, რაც, უნდა გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, მაშინ აქტუალური სასწავლო მიმართულებით ზემოთ შემოთავაზებული აკადემიური საშტატო ერთეულის დასაშვებ საფუძვლად თქვენ შეგიძლიათ დაეყრდნოთ იმ საათობრივ დატვირთვას, რომელიც მე უნდა მქონდეს „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ უკვე წარმოდგენილ ღია საუნივერსიტეტო არჩევით კურსებზე.

ბ) იმ შემთხვევაში თუ მე მომეცემა საშუალება აკადემიური საშტატო დატვირთვით ვუხელმძღვანელო ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო მიმართულებას, რომელიც რეფორმამდელ უნივერსიტეტში თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით ერთხელ უკვე იყო დაფუძნებული, არა თუ თანახმა ვიქნები, არამედ პატივად ჩავთვლი პარალელურად საზოგადოებრივ საწყისებზე ვუხელმძღვანელო აგრეთვე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას. – უნდა დამეთანხმოთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა აკმაყოფილებს როგორც აქტუალურ, ისე ოპტიმალურ საუნივერსიტეტო მოთხოვნებს!

გ) ამასთან, ამ ეტაპზე ამ ლაბორატორიის ფორმირებისთვის დამატებით სრულიად საკმარისი იქნება 1,5 ფინანსირებადი საშტატო ერთეული. ამასთან, მოგახსენებთ იმასაც, რომ სექტემბრიდან, ან უკიდურეს შემთხვევაში მომავალი საბიუჯეტო წლიდან, იმედი მაქვს, ფაკულტეტი გაგვისრულებს ლაბორატორიის საშტატო დატვირთვას, რაც საშუალებას მოგვცემს ლაბორატორიის საქმიანობაში ჩავრთოთ იმ დროისთვის უკვე საბაკალავრო სწავლება გამოვლილი ის წარმატებული სტუდენტები, რომლებმაც მიმართულებით თავიანთი სიღრმისეული ინტერესები უკვე დაადასტურეს. – უნდა დამეთანხმოთ იმაშიც, რომ ეს ფორმირების პროცესში მყოფი ახალი სამეცნიერო მიმართულების განვითარებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო მხარდაჭერა იქნება!

ბატონო დეკანო, ამ თემატიკასთან დაკავშირებულ კონფლიქტურ საუნივერსიტეტო სიტუაციას დასაბამი 2006 წლის კონკურსის შემდგომ დაედო. კერძოდ, ჩემი №85 საკონკურსო განაცხადის თაობაზე პირველი სააპელაციო მიმართვა რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის სახელზე 2006 წლის 7 აგვისტოს გავაკეთე (იხ. თქვენთან არსებული მასალები).

ამ მიმართვაში საკითხები საკმარისი სიმძაფრით იყო დაყენებული. იქ მე ვწერდი: „იქნა თუ არა გათვალისწინებული, რომ უმძიმესი პირობების მიუხედავად მე შევძელი საქართველოში თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის, ანუ ჩომსკი-მონტევიუსეული ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო მიმართულების დაფუძნება და რომ თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის ქართველი სპეციალისტების აღზრდა აუცილებლობის წესით არის განსაზღვრული ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი მიზნებიდან გამომდინარე? – იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული, გთხოვთ მიპასუხოთ წერილობით იმ საფუძვლების შესახებ რის გამოც, ხოლო თუ ზემოაღნიშნული გათვალისწინებულ იქნა, მაშინ რით უნდა ავხსნათ ის, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკისა და ინფორმატიკის მიმართულებამ ფაქტიურად უარი თქვა იქ უკვე დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაციისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალობის წამყვან კადრზე და იმის ნაცვლად, რომ საკონკურსოდ გამოყოფილი ნ-ე საშტატო აკადემიური ადგილი ამ უმნიშვნელოვანესი ქვემიმართულებით გაეხარჯა, საერთოდ არ გამოიყენა იგი!“.

ამასთან, ამ მიმართვას შემდეგი მინაწერით ვასრულებდი: „**P.S.** ის, რომ რეფორმირებულ ფაკულტეტზე მათემატიკური ლინგვისტიკა ანუ ლოგიკა-ენა-გამომთვლელი არ არის ცალკე ქვემიმართულებად, მაშინ როდესაც ქართულენობრივი აზროვნებითი წესთწყობის შესწავლა თანამედროვე მათემატიკური – ლოგიკურ-ლინგვისტური მეთოდებით და ქართული ენის სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზება დღის წესრიგში მდგარ აუცილებლობას წარმოადგენს, რეფორმირებული ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ნაკლად მიმაჩნია. – იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში წინასწარ გაწერილი გეგმისა და მიზნობრივად და ოპტიმალურად შერჩეული ვადების ფარგლებში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკა ანუ ლოგიკა-ენა-გამომთვლელი ერთ-ერთ სახელმწიფო მიზნობრივ მიმართულებად განისაზღვრება. ყველა სხვა შემთხვევაში გამოვა, რომ ჩვენ უპასუხისმგებლოდ ვეკიდებით ქართული ენის სამომავლო ბედ-იღბალს.“

ბატონო დეკანო, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი წერილობითი პასუხი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე არ მიმიღია, 2006 წლის ოქტომბერში მე მომეცა საშუალება გავსაუბრობოდი ბატონ რექტორს ამ სააპელაციო საკითხებთან დაკავშირებით. საუბრის დასასრულს მან მადლობა მითხრა გაწეული საქმიანობისთვის და მირჩია, რომ არ ავჩქარებულყოფიყავი.

იქიდან მოყოლებული ზემო აღნიშნული სააპელაციო პროცესი ჩემი მხრიდან პრინციპული, თანმიმდევრული და კონსტრუქციული ნაბიჯებით მიმდინარეობდა და ის, რომ ეს პროცესი დროში ასე ხანგრძლივ გაიჭიმა მეტწილ განპირობებულია იმით, რომ თქვენ, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ამ თემატიკასთან და, შესაბამისად, ჩემთან მიმართებაში არ მოქმედებდით საუნივერსიტეტო შრომითი ხელშეკრულების 2.2.1, 2.2.3, 2.2.4 და 2.2.5 პუნქტების შესაბამისად, რომელთა მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია იღებს „უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა, დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის“, „მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე“, „იზრუნოს სამეცნიერო კვლევებისა და პროფესიული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაზე“ და „უზრუნველყოს დასაქმებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში“.

ის, რომ ეს ასეა, აშკარად დასტურდება იმით, რომ თქვენთან რექტორის მიერ ივნისის თვეში გადმოგზავნილი მიმართვა, რომელიც გამომდინარე მისი შინაარსიდან, ჩემი ინდივიდუალური სახელშეკრულებო სამეცნიერო საკვლევი თემის ფარგლებში არსებულ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, ექვსი თვის განმავლობაში თქვენ უპასუხოდ დატოვეთ.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრის თვეში მე უკვე წარმოდგენილი მქონდა 62 გვერდიანი ნაშრომი სათაურით „ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“, რომელზედაც ორი თვე ვმუშაობდი, და რომელშიც დეტალურად მქონდა მიმოხილული ამ საკითხის თითქმის ყველა შემადგენელი.

გარდა ამისა, თქვენი მხრიდან ჩემი და ჩემი მეტად მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო თემატიკისადმი არამართებულ დამოკიდებულებებს აშკარად ადასტურებს აგრეთვე ის, რომ მე საშუალება არ მომეცა გამეკეთებინა ჩემს მიერ 2007 წლის 22 მაისს ოფიციალურად მოთხოვნილი სემინარი თემაზე ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ.

ბატონო დეკანო, ერთ-ერთი საუბრისას მიზეზად იმისა, რომ ამ სემინარის ორგანიზება ვერ ხერხდებოდა, თქვენ დაასახელეთ ის, რომ ჯერ კიდევ რეალურად ვერ ამუშავდა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარი, რაც, გეთანხმებით, რა თქმა უნდა არასასიამოვნოა. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც, ხომ შეგეძლოთ დაგესვათ საკითხი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რიგით სხდომაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭო უარს არ იტყოდა და მხარს დაუჭერდა იმას, რომ სასემინარო საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ფაკულტეტს ორგანიზება გაეკეთებინა თუნდაც ერთი ღია სემინარისთვის, რაც, ბუნებრივია, თქვენც შეგიწყობდათ ხელს რექტორის მხრიდან შემოსულ და ექვსი თვის განმავლობაში უპასუხოდ დატოვებულ მიმართვაზე კომპეტენტური პასუხის გაცემაში.

ამგვარად, ბატონო დეკანო, თუნდაც მხოლოდ ის, რომ თქვენ სახელშეკრულებო პერიოდის შვიდი თვის განმავლობაში მე არ მომეცით 2007 წლის 22 მაისის განაცხადით მოთხოვნილი სემინარის ჩატარების საშუალება, ამასთან ის, რომ თქვენ იმავე სახელშეკრულებო პერიოდის ექვსი თვის განმავლობაში ვერ გამონახეთ დრო საბოლოოდ განგეხილათ და გეპასუხათ რექტორისთვის ჩემ 2007 წლის 22 ივნისის მიმართვაზე, იმას, რომ ჩემთან და ჩემ სახელშეკრულებო მიზნობრივ თემატიკასთან მიმართებაში არ მოქმედებდით შრომითი ხელშეკრულების 2.2.1, 2.2.3, 2.2.4 და 2.2.5 პუნქტების შესაბამისად, აშკარად ადასტურებს.

ამასთან, ბატონო დეკანო, როგორც უკვე აღვნიშნე, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი წერილობითი პასუხი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე რექტორისაგან არ მიმიღია, მე ვთვლი, და ვფიქრობ საფუძვლიანადაც, რომ ზემოხსენებულ სააპელაციო განაცხადს რექტორის მხრიდან პასუხი გაეცა თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში ორგანიზებული განხილვით, რომლითაც დადასტურდა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით.

ამგვარად, მე დღეს უფლება მაქვს ვთქვა, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის კონკურსით ბლოკირებული სასწავლო მიმართულების თაობაზე ჩემს მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს დაწყებული სააპელაციო პროცესი დასრულდა არა ჩემი, არამედ ჩემი და უნივერსიტეტის გამარჯვებით, რადგან მიუხედავად საკითხის დროში ხანგრძლივად მიმდინარეობისა, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტში საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან გაწონასწორებული დამოკიდებულებები გამოიკვეთა.

თუმცა, გასაგებია ისიც, რომ მხოლოდ დამოკიდებულებების გამოკვეთა არ არის საკმარისი და რომ ამავდროულად აუცილებელია ამ უკვე გამოკვეთილი დამოკიდებულებების მიზანშეწონილი და გეგმაზომიერი საუნივერსიტეტო რეალიზაციები, რაც უკვე, ბუნებრივია, საფაკულტეტო ქმედებების სფეროშია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, და მიუხედავად თქვენი მისამართით ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული საფუძვლიანი პრეტენზიებისა, მე იმედი მაქვს, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო მიმართულებათა თაობაზე უნივერსიტეტში კიდევ ერთხელ გამოკვეთილი აქტუალობათა შესაბამისად ფაკულტეტი დაუშვებს დამატებით მიზნობრივ სახელდებულ საშტატო აკადემიურ ერთეულს პირადად ჩემზე, რაც მე მართებულად მიმაჩნია, რადგან აქ საუბარია საქართველოში ახალი მათემატიკური დარგის ფორმირებაზე, რომლის ფორმირების მიზნები და პასუხისმგებლობები უკვე წლებია მე ვიკისრე.

ბატონო დეკანო, წინამდებარე მომართვა, რომელიც ამ დროში ხანგრძლივად მიმდინარე საკითხის ყველა შემადგენლის გადააზრებისა და შეჯერების შედეგია, ჩათვალეთ კიდევ ერთ თანამშრომლობით ნაბიჯად. იმედია იგი წაგადგებათ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიზნების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საპასუხისმგებლო საქმეში.

ბატონო დეკანო, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს მიერ გაკეთებული მონახაზი საკითხის არამართებულ გადაწყვეტად მიგაჩნიათ, გთხოვთ გააკეთოთ ოფიციალური შემოთავაზება საკითხის თქვენეული გადაწყვეტის თაობაზე. ამასთან, გთხოვთ მომცეთ საშუალება ვნახო ის მასალა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით რექტორმა თქვენ გადმოგიგზავნათ.

მეგობრული პატივისცემით,
ქართული ენის უფლებების დამცველი

/კ. ფხაკაძე/

P.S. ბოლო მოვლენები, მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ დეპარტამენტში ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი გამოკვეთილი შესაბამისი დამოკიდებულებები, არამედ ისიც, რომ კ. გელაშვილმა, გ. სირბილაძემ და მ. ხაჩიძემ, მიუხედავად მძაფრი კონტექსტისა, შეძლეს საკითხზე ახალი ხედვის ჩამოყალიბება და მისი აქტუალობის დადასტურება, საფუძვლიან იმედს მაძლევს, რომ უნივერსიტეტის შიგნით შემდგომში გასაკეთებელ მიმართვებზე მე იბულება იმისა, რომ ხელი მოვაწერო როგორც ქართული ენის უფლებების დამცველმა, აღარ მექნება და რომ ამ უფლებებს შემდგომში, თუ ეს საჭირო გახდა, უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივად დავიცავთ.

ბატონო რამაზ, ყველაფერთან ერთად თქვენ ჩემთვის ბატონი დავით გორდუხიანის მოწაფე ხართ, და, მერწმუნეთ, არანაირი სურვილი ვითარების შემდგომი კონფლიქტური განვითარებისა არა მაქვს, მით უფრო, რომ იმ საქმის განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობების წარმოჩენა და აქტუალიზაცია, რომლის გასწვრივაც უკვე წლებია ვურთიერთობთ, არამარტო ჩემი მცირერიცხოვანი ჯგუფის საქმიანობის შედეგია, ის არანაკლებ ბატონი დავითის საქმიანობის შედეგიცაა, რადგან სწორედ მასთან ერთად და სწორედ მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობით წლების განმავლობაში ვცდილობდით და შევძელით კიდევ ჩვენ ამის გაკეთება!

ამასთან, ამ მომართვას თან ვურთავ 2007 წლის 22 მაისის რიცხვით ჩემს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განაცხადს სასემინარო თემაზე ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი

ფორმირების აუცილებლობის შესახებ და ამ განაცხადზე თანართულ თსუ მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სარეკომენდაციო მხარდაჭერებს.

ამით კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით გაუკეთოთ ორგანიზება ამ მეტად საჭირო სემინარს, რომლის ანოტაციაში მე ვწერდი, რომ „თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში“ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგი ისაა, რომ უკვე შემუშავებულია ქართული ენის მათემატიკური თეორიის, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის სასაფუძვლო საკითხების ძირითადი ნაწილი.“ – ბატონო დეკანო, იმედია რომ ახლა უკვე თქვენ აღარ თვლით იმას, რომ ჩემი ის განაცხადი, რომლითაც მე იმას ვამბობ, რომ უკვე შემუშავებულია ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები, არ წარმოადგენს საფაკულტეტო ინტერესის საგანს!

ამასთან, მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხების შესახებ მოხსენებას სასემინარო თვალსაზრისებით უმნიშვნელოდ არ ჩათვლის, მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული ენა და აზროვნება თითქმის შეუსწავლელია!

2008 წლის 27 თებერვალი,
კ. ფხაკაძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

როგორც უკვე იცით, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა 2007 წლის 24 დეკემბერს თსუ რექტორისადმი გაკეთებული ჩემი მიმართვის და ამ მიმართვაზე თანართული მასალების საფუძველზე ორგანიზება გაუკეთა საკითხის საქსპერტო განხილვას. ამასთან, დეპარტამენტმა, ა/წ 7 თებერვალს განსახილველი საკითხისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტო სემინარზე საშუალება მომცა კიდევ ერთხელ წარმომედგინა საკითხთან დაკავშირებული ჩემეული ხედვები.

ამ ყველაფრის საფუძველზე დეპარტამენტმა დაადასტურა მიმართვით დაყენებული საკითხის აქტუალობა, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევითი თვალსაზრისებით. ამის გათვალისწინებით, ა/წ 20 თებერვალს, 26/87 წერილით, რომელიც თქვენ გადმოგეგზავნათ, ბატონმა რექტორმა უპასუხა ჩემს 2007 წლის 24 დეკემბრის მიმართვას. ამ საკითხთან დაკავშირებით მე თქვენ ა/წ 27 თებერვალს 41/26 წერილით მოგმართეთ. ამასთან დაკავშირებით:

I. გთხოვთ მიპასუხოთ 2008 წლის 27 თებერვლის მომართვაზე, ან წერილობით, ან უშუალოდ. ანუ, იქნებ გამონახოთ დრო ჩემთან თუნდაც 15 წუთიანი საუბრისა და სიტყვიერად მაინც მითხრათ, როგორ აპირებთ ამ მომართვით ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას.

II. 7 თებერვლის ზემოხსენებულ საუნივერსიტეტო სემინარზე თსუ ასოცირებულმა პროფესორმა ჯ. ანთიძემ, ითხოვა რა სიტყვა, სანიშნოდ მიმოიხილა ჩემი 2005 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომის ერთი შემადგენელი და მას ყოვლად არამართებულად „სისულელე“ უწოდა. მერე თქვა, რომ მთელი ნაშრომი „ასეთი სისულელებით არის სავსე“ და ამას ისიც დაუმატა, რომ თურმე ის, რასაც მე ვაკეთებ, „უტოპიაა“. – არადა, 2003 წელს, ჯ. ანთიძემ, მხარდაჭერითი შინაარსით ხელი მოაწერა თსუ იმდროინდელი რექტორისადმი იმის კეთების აქტუალობის მასაბუთებელ მიმართვას, რასაც მან 2008 წლის 7 თებერვალს უტოპია უწოდა!

ჩემს საპასუხო გამოსვლაში მე მას შევახსენე, რომ ამ საკითხთან მიმართებაში იგი უკვე მეორედ იყენებს მეცნიერისთვის შეუფერებელ ქცევით ფორმებს (იხ. დანართი) და კიდევ ერთხელ ვთხოვე წერილობითი ფორმით გამოეხატა მისი მოსაზრებები და ამ მოსაზრებების დამადასტურებელი მისეული არგუმენტები! – გთხოვთ, დაავალოთ მას წერილობით დააფიქსიროს თუნდაც ის ერთი, იმ დღეს სასემინარო აუდიტორიასთან სანიშნოდ გამოტანილი საკითხი. ამ შემთხვევაში მე მას წერილობითვე ვუპასუხებ, რაც, ცხადია, წაადგება საქართველოში ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის ახლა ფორმირების პროცესში მყოფი სამეცნიერო მიმართულების წარმატებული ფორმირების მიზნებს. – მეცნიერება უპირველეს ყოვლისა არის შეცდომებისა და დაზუსტებული შეცდომების დროში თანდათანობით მიმდინარე პროცესი, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის პიროვნული ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებების დაპირისპირებასა და კრიტიკულ შეჯერებას, რაც, ბუნებრივია, ხერხდება და რეგულირდება აკადემიური ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფორმების დაცვით, რომელთა შორის საკამათო საკითხის წერილობითი განხილვა ერთ-ერთი ძირითადია. – ის, რომ ჯ. ანთიძე თავს არიდებს საკითხის წერილობით ფორმატში განხილვას, მით უფრო მაშინ, როცა საკითხი უშუალოდ უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს, მას კარგად არ ახასიათებს.

მიუხედავად იმისა, ვ. ანთიძე წარმოადგენს თუ არა თავის კრიტიკულ მოსაზრებებს წერილობითი ფორმით, 2007 წლის 22 მაისის და განმეორებით 2008 წლის 27 თებერვლის მომართვით მოთხოვნილ სემინარზე აუცილებლად ვუპასუხებ ჩემ 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე „ლინგვისტური მიმართებისა და ლოგიკური ბრუნების საკითხისათვის ქართულში“ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. – თუმცა, ეს რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამ სემინარის ჩატარების საშუალებას მომცემთ! – ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ ეს ნაშრომი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზანთა ჭრილში და მასში მრავლად არის სამეცნიერო თვალსაზრისებით მეტად მნიშვნელოვანი განაცხადები.

III. ა/წ 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე გ. ჩიჩუამ, რომელიც თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ერთ-ერთი თანახელმძღვანელია, გააკეთა მისივე თეორიული მიდგომებით რეალიზებული ქართული მეტყველების ამომცნობი და მასინთეზებელი კომპიუტერული პროგრამების დემონსტრირება. ამასთან, მან წარმოადგინა მისი ამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგების ამსახველი სადისერტაციო ნაშრომის წინასააპრობაციო ვარიანტი, რომელიც, ბუნებრივია, დღეს არსებული სადისერტაციო ნორმების შესაბამისად შემდგომ დახვეწასა და გასრულებას მოითხოვს.

ქართული მეტყველების კომპიუტერული ამომცნობის კონსტრუირების ამოცანის უკვე დადასტურებული აქტუალობიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ყურადღებით მოეკიდება ამ საკითხს და ხელს შეუწყობს ამ ახალგაზრდა მკვლევარს მისი ამ ეტაპობრივი სადისერტაციო მიზნების წარმატებულად განხორციელებაში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო ამ ჩემს შესაძლოა ბოლო ოფიციალურ მომართვაში: ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ოთხი სტუდენტისთვის, კითხვაზე ქონდათ თუ არა მათ ჩემს მიერ წარმოდგენილი მათემატიკური ლინგვისტიკის კურსის არჩევის უფლება, ამავე ინსტიტუტის წარმომადგენელს უპასუხნია, რომ მათემატიკური ლინგვისტიკის კურსზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი სტუდენტია ჩაწერილი და რომ ჯგუფის დაკომპლექტებას 15 კაცი ჭირდება, რაც თითქოსდა საშიშროებას ქმნიდა იმისა, რომ კურსის არ დაკომპლექტების შემთხვევაში, მათ ერთი კრედიტი დაეკარგებოდათ. – ამ პასუხით შემფოთებულმა სტუდენტებმა კურსზე თავიანთი არჩევანი აღარ დააფიქსირეს. ჩემთვის ეს გარემოება სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი. არადა, სავარაუდოა, რომ ასეთი დამაბნეველი პასუხი ბევრმა სხვა სტუდენტმაც მიიღო. – ბუნებრივად ჩდება კითხვა: როგორ დავაზღვიოთ სტუდენტები ასეთი არაკოლევიალური დამოკიდებულებებისგან?

ბატონო დეკანო, იმედია არ ფიქრობთ, რომ დავილლები და საქმეს, რომელიც აქამდე მოვიყვანე, მივატოვებ! – ამასთან, გარწმუნებთ, არ მოხდება ის, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტი, ისევე როგორც კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანების გარეშე დარჩეს!

კვლავაც ქართული ენის
უფლებების დამცველი
კ. ფხაკაძე

2008 წლის, 14 მარტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს

ბატონო დეკანო, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ჩემი 2007 წლის 24 დეკემბრის განმეორებითი მიმართვის ერთთვიანი განხილვის საფუძველზე გამოკვეთილი საუნივერსიტეტო დამოკიდებულების გათვალისწინებით (იხ. დანართი) ბატონი რექტორი თქვენთან 2008 წლის 20 თებერვალს გადმოგზავნილი 26/87 წერილით სასწავლო პროცესში **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** სასწავლო კურსების აუცილებელი ინტენსიფიკაციის საკითხს სააღმსრულებლო ფაზაში აყენებს.

კერძოდ, ამ წერილით ბატონი რექტორი გეუბნებათ „შეთავაზეთ ბ-ნ. კ. ფხაკაძეს მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი სასწავლო კურსი“.

ამგვარად, ბატონო დეკანო, მე დღეს უფლება მაქვს ვთქვა, რომ ბატონმა რექტორმა მისი 2008 წლის 20 თებერვლის 26/87 წერილით დადებითად უპასუხა ჩემს 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადს და რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** კონკურსით ბლოკირებული სასწავლო მიმართულების თაობაზე ჩემს მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს დაწყებული სააპელაციო პროცესი დასრულდა არა ჩემი, არამედ ჩემი და უნივერსიტეტის გამარჯვებით, რადგან მიუხედავად საკითხის დროში ხანგრძლივი მიმდინარეობისა, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტში საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან გაწონასწორებული დამოკიდებულებები გამოიკვეთა.

თუმცა, ის, რომ ზემოაღნიშნული წერილით 2008 წლის 20 თებერვალს თქვენთან სააღმსრულებლო დატვირთვით შემოსული ეს საკითხი დღემდე, ანუ 2008 წლის 29 აპრილამდე, კვლავაც გადაუწყვეტელია, შემაშფოთებელია.

როდესაც ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნით ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული მეტყველების კომპიუტერული ამომცნობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული და როდესაც ამავე მიზნებითა და თვალსაზრისებით მთელი რიგი ბუნებრივი ენები უკვე თითქმის ამომწურავადაა შესწავლილი და დამუშავებული, და თანაც, როდესაც, დღეს-დღეობით, ვერავინ იტყვის ათი-თორმეტი წლის შემდეგ რა სახის ბუნებრივენობრივი ტექნოლოგიები უკვე იქნება დანერგილი საერთო მსოფლიო კულტურულ სივრცეში, სრულიად გასაგები ხდება რაოდენ საშურია ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის კადრობრივი ფორმირება და ამ მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004-2006 წლებში ჩემი და ჩემი მცირერიცხოვანი ჯგუფისა და ჯანსაღი საუნივერსიტეტო კადრების აქტივობით დაფუძნებული და 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით სრულიად არამართებულად ბლოკირებული **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** საუნივერსიტეტო სასწავლო მიმართულების აღდგენა!

ბატონო დეკანო, გთხოვთ ნუღარ დააყოვნებთ ბატონი რექტორის მიერ სააღმსრულებლო ფაზაში ჩაყენებული და უკვე არაერთხელ განხილული საკითხის საბოლოო გადაწყვეტას.

გარდა ამისა, გთხოვთ მომცეთ საშუალება წარვუდგინო ფაკულტეტს ჩემს მიერ თქვენდამი პირველად 2007 წლის 22 მაისს, განმეორებით კი 2008 წლის 27 თებერვალს გაკეთებული მომართვით მოთხოვნილი მოხსენება თემაზე **ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუღებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ**.

ამასთან, რადგან **ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუღებელი ფორმირების აუცილებლობა** ზედა საფეხურის საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებით უკვე **განისაზღვრა აქტუალურ საუნივერსიტეტო საკითხად**, მოხსენებისას ძირითადად დაკავდები 2002-2007 წლებში თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების შედეგების პრეზენტაციებით.

მოხსენებისას დეტალურად მიმოვიხილავ აგრეთვე იმ ამოცანებს, რომლითაც დაკავდება „**ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის**“ ის საუნივერსიტეტო ლაბორატორია, რომლის ფორმირების თაობაზე საბოლოო საფაკულტეტო გადაწყვეტილება იმედი მაქვს დღეს, ანუ 29 აპრილს იქნება მიღებული. ამასთან, აქვე შეგახსენებთ, რომ სალაბორატორიო მიზნების შესახებ მოხსენების გაკეთებაზე ოფიციალური თხოვნით მე თქვენ პირველად 2007 წლის 5 ივლისის წერილით მოვმართეთ.

ისევ ვიმეორებ, მაშინ როდესაც ვერავინ იტყვის ათი-თორმეტი წლის შემდეგ რა სახის ბუნებრივნიობრივი ტექნოლოგიური რეალიზაციები იქნება დანერგილი საერთო მსოფლიო კულტურულ სივრცეში, სრულიად გასაგები ხდება რაოდენ საშურია ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის კადრობრივი ფორმირება და ამ მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004-2006 წლებში დაფუძნებული და 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით სრულიად არამართებულად ბლოკირებული **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** საუნივერსიტეტო სასწავლო მიმართულების აღდგენა! – ბატონო დეკანო, ბუნებრივია, ჩემი მონაწილეობა ამ დროში ხანგრძლივად მიმდინარე საკითხის გასწვრივ საბოლოო საფაკულტეტო გადაწყვეტილების მისაღებად დღეს, ანუ 29 აპრილს დაგეგმილ სხდომაში წაადგება ამ საკითხის მიზნობრივი და ოპტიმალური გადაწყვეტის მოძიების მნიშვნელოვან საქმეს.

ბატონო რამაზ, საკითხის შემდგომი გაჯანჯლებისა და არ გადაწყვეტის შემთხვევაში მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე იძულებული ვიქნები პირადად თქვენ დაგდოთ ბრალი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ბლოკირებაში! – თქვენ ხომ იცით, რომ ეს საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და რომ იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივნიობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების ეროვნულ მიზანს?!

ქართული ენის უფლებების
დამცველი კ. ფხაკაძე

2008 წლის, 29 აპრილი

მინაწერი: ორი თვის განმავლობაში დაუზარებლად ვცდილობიდი დაგხმარებოდი არ ვიცი რატომ გართულებული საკითხის გადაწყვეტაში. ამ მიზნით ჯერ 2008 წლის 27 თებერვალს მოგმართეთ ოფიციალური წერილით, მერე კი 2008 წლის 14 მარტს.

მიუხედავად ამისა, მე ვერ მოვახერხე ვერც ის, რომ თქვენ აგელსრულებინათ უკვე გამოკვეთილი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილება, და ვერც ის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით დაგეფიქსირებინათ ამ სააღმსრულებლო ფაზაში შესული საკითხის გადაწყვეტის შემაფერხებელი მიზეზები.

უფრო მეტიც, ჩემი არაერთგზისი არაწერილობითი მცდელობებისა, რომ თქვენ გეპასუხნათ ჩემთვის და თქვენი ასევე არაერთგზისი არაწერილობითი დაპირებებისა, რომ საკითხს წერილობით უპასუხებდით, თქვენ მხოლოდ ის მოახერხეთ, რომ 2008 წლის 11 აპრილს თქვენი 2008 წლის 20 თებერვლის საპასუხო წერილი და 2007 წლის განმავლობაში ამავე საკითხთან დაკავშირებით ჩემი თქვენთან შემოსული და თქვენგან უპასუხოდ დატოვებული მიმართვები არ ვიცი რისთვის გადაუგზავნეთ მათემატიკის მიმართულების პროფესურას.

არ ვიცი რისთვის, რადგან, არანაირი წერილობითი მითითება იმის თაობაზე თუ რა კუთხით განეხილათ საკითხი მიმართულების პროფესორთა საბჭოს გადაცემული მასალებისთვის არ მიგიყოლებათ!

თუმცა, გასაგებია, რომ ამ მასალებს ასეთ წერილობით მითითებას ვერც მიაყოლებდით, რადგან თქვენთან რექტორისგან 2008 წლის 20 თებერვლის წერილის შემოსვლის შემდეგ ჩემი საკითხი ჩაღვა არა განხილვის, არამედ გადაწყვეტის ფაზაში და, ასეთ შემთხვევაში, რაღა უნდა განეხილა პროფესორთა საბჭოს, გაუგებარია.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ ფაკულტეტის დეკანი ზედა საფეხურის საუნივერსიტეტო განხილვის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორისგან მასთან სააღმსრულებლო ფაზაში შესულ საკითხს ორი თვის თავზე მხოლოდ იმით ეპასუხება, რომ ამ უკვე გადაწყვეტილ საკითხს განსახილველად უგზავნის ამ ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს, ანუ იმ საბჭოს, რომლის წევრების სრულ შემადგენლობას იმავე უნივერსიტეტის რექტორთან იმავე საკითხის პირველადი ინიცირებისას მასზე მხარდაჭერითი ხელმოწერა უკვე გაკეთებული აქვთ?! - მე არც კი ვიცი რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ თქვენ ნაცვლად იმისა, რომ აღასრულოთ ერთგვიანი დახურული საუნივერსიტეტო განხილვის შემდგომ რექტორისგან დავალებად დაკისრებული მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო კადრის დასაქმების საკითხი, თითქოსდა ვინმეს მოკვლა დაევალებინოთ, ყოველნაირი ზრიკებით ცდილობთ ამ სიამოვნებით აღსასრულებელი საქმის აღსრულებისგან თავის არიდებას!

გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, ჩემი საკითხი, იმავე 11 აპრილს, ანუ იმ დღეს, როდესაც თქვენ ჩემს საქმესთან დაკავშირებული მასალები მათემატიკის მიმართულებას განსახილველად გადაეცით, ფაკულტეტის დეკანატში ამ მიმართულების პროფესორების ერთი ნაწილის თანდასწრებით უკვე ყოფილა განხილული.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს უფროს კოლეგებს დავით გორდუზიანს, გია ჯაიანს და თამაზ ვაშაყმაძეს ჩემი და ჩემი თემატიკის კიდევ ერთჯერადი ღია მხარდაჭერისთვის.

თუმცა, გამომდინარე საკითხის წინა ისტორიიდან და გამომდინარე თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 7 თებერვალს ორგანიზებულ ღია საუნივერსიტეტო სემინარზე მათი მხარდაჭერითი მონაწილეობიდან, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო.

მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად მით უფრო გაუგებარი ხდება რა მიზნით გადმოაგზავნეთ 2008 წლის 20 თებერვლის სააღმსრულებლო შინაარსის წერილი მაღლივ კორპუსში და რა მიზნით შედგა 2008 წლის 17 აპრილს მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს სხდომა?

ნათელია, რომ არანაირი ლოგიკური საფუძველი თქვენს ამ ქცევას არ აქვს, რაც ასევე ნათელს ხდის იმას, რომ ეს ქცევა თქვენი იმ პიროვნული განწყობის შედეგია, რომელიც უკეთეს შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგაა მიმართული, უარეს შემთხვევაში კი იგი ეწინააღმდეგება ქართული ენის იმ სამომავლო არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის მიზანს, რომლის სამსახურშიც ბოლო თოთხმეტი წელია ვიმყოფები! – ამ დასკვნებს მე არ ვაკეთებ, ეს დასკვნები საკითხთა იმ კრიტიკული ანალიზის შედეგია, რომლის კეთებისას მე ვემორჩილები მხოლოდ ფაქტობრივ საფუძვლებსა და ლოგიკური გამოყვანის წესებს!

ახლა რაც შეეხება თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს 17 აპრილის სხდომას: როგორც მოსალოდნელი იყო საბჭოს სხდომა კი შედგა, მაგრამ საბჭომ, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი თემატიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩემი დაუსაქმებლობით შექმნილ უხერხულობას ვერაფერი წერილობით ვერც დაადასტურა და ვერც ვერაფერი უარყო, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, არანაირი ოფიციალური წერილობითი დავალება საბჭოს წევრებს თქვენგან არ მიუღიათ!

არადა, ამ საბჭოს ჩემთვის საპატივცემულო წევრებს, რომელთა ნაწილი ჩემი მასწავლებლები, ნაწილი კი ჩემი კოლეგები არიან, შესანიშნავად ესმით, რომ ზედა საფეხურის საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების განხორციელების შეყოვნება დაუშვებელია და ესმით ისიც, რომ თუ მათ ზემდგომიდან ოფიციალური წერილობითი მითითება არა აქვთ, მაშინ მათ არც ვალდებულება აქვთ ჩაერიონ სააღმსრულებლო ფაზაში შესულ საქმეში, მით უფრო, რომ ამ საქმისადმი მათ თავიანთი დადებითი დამოკიდებულებები არაერთხელ აქვთ დადასტურებული.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მათემატიკის მიმართულების სრული პროფესორების სრულმა შემადგენლობამ, და არა მარტო მათ, 2007 წლის 9 იანვრის იმდროინდელი თსუ მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საკითხის ღია განხილვის შემდგომ, მხედველობაში მაქვს ის, რომ ეს ის იშვიათი საბჭოს სხდომა იყო, რომელსაც საკითხის ინიციატორი სტუდენტებიც ესწრებოდნენ, ხელმოწერით დაუჭირეს მხარი 2007 წლის 22 ივნისს რექტორისადმი გაკეთებულ ჩემს პირველ მომართვას. – როგორც ჩანს თქვენ არც ეს გახსოვდათ. – **წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის ინიციატორებს საკითხს, რომელიც უნივერსიტეტის რექტორმა ზედა საფეხურის საუნივერსიტეტო სტრუქტურის მიერ ორგანიზებული დახურული საექსპერტო და ღია სადისკუსიო განხილვის საფუძველზე სააღმსრულებლო ფაზაში ჩააყენა, ამ საკითხის ინიციატორებს კვლავ განსახილველად აღარ გადაუგზავნიდა!**

აქ უნდა შეგახსენოთ, რომ 2006 წლის დეკემბერში, იმ სტუდენტების ინიციატივით, რომლებსაც 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსამდე თავიანთ ვიწრო საუნივერსიტეტო სპეციალობად უკვე არჩეული ჰქონდათ მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკა, იმდროინდელი

მათემატიკის ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა ბატონ რექტორს, რათა მათ საშუალება მისცემოდათ ჩემთან „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სრული სალექციო კურსის გავლისა.

სწორედ ამ სტუდენტების ამ მომართვისადმი რექტორის ყურადღება იქცა საფუძვლად იმისა, რომ 2007 წლის 9 იანვრის თსუ მათემატიკის ინსტიტუტის ზემოხსენებულ სამეცნიერო საბჭოზე მე წარვდექი მოხსენებით ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ.

ამავე საბჭოზე გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მე ეს მნიშვნელოვანი საკითხი მოხსენებით წარმედგინა მაშინ ფორმირების პროცესში მყოფ ფაკულტეტის სემინარზე.

ამის შესაბამისად, 2007 წლის 22 მაისს ორი თანართული რეკომენდაციით ოფიციალურად მოგმართეთ თხოვნით მოგეცათ ჩემთვის საშუალება ფაკულტეტის სემინარზე გამეკეთებინა მოხსენება ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ.

სამწუხაროდ, 2007 წელი და 2008 წლის ერთი მეოთხედი ისე გავიდა, რომ მე ამ მოხსენების გაკეთების საშუალება არ მომეცა! – ესეც კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით რ. ბოჭორიშვილისთვის დამახასიათებელია არა ლოგიკური, არამედ განწყობითი ხასიათის ქცევები.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო,

უკვე მესამედ მოგმართავთ იმ საკითხით, რომელთან დაკავშირებითაც პირველად 2007 წლის 22 ივნისს მოგმართეთ (იხ. დანართი 4 გვ. 112-113), მეორედ კი – 2007 წლის 24 დეკემბერს (იხ. დანართი 4. გვ. 173).

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ კონფლიქტურ საუნივერსიტეტო სიტუაციას დასაბამი 2006 წლის კონკურსის შედეგად დაედო. კერძოდ, 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსზე ჩემი №85 საკონკურსო განაცხადის (იხ. დანართი 4, გვ. 5-44) თაობაზე პირველი სააპელაციო მომართვა 2006 წლის 7 აგვისტოს გავაკეთე (იხ. დანართი 4, გვ. 128-131).

ამ სააპელაციო განაცხადით მე ვასაბუთებდი ეროვნული თვალსაზრისებით განსაკუთრებულად აქტუალური თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 2004-2006 წლებში დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზების ბლოკირების არამართებულებას.

ამასთან, 2007 წლის 24 დეკემბრის ჩემი განმეორებითი მომართვის მიზეზი იყო ის, რომ 6 თვის განმავლობაში რ. ბოჭორიშვილმა ვერ მოახერხა იმავე საკითხზე მასთან თქვენგან ივნისის თვეში განსახილველად გადაგზავნილი ჩემი 2007 წლის 22 ივნისის მომართვით დასმული მნიშვნელოვანი საკითხის გასწვრივ საფაკულტეტო დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

2007 წლის 24 დეკემბრის მომართვა თქვენ განსახილველად გადაუგზავნეთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს. ამ სადეპარტამენტო განხილვამ, რომელმაც ისარგებლა როგორც დახურული საექსპერტო, ისე ღია სადისკუსიო საშუალებებით, 2008 წლის 7 თებერვალს საჯაროდ დაადასტურა ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ ადასტურებს აგრეთვე ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო მომართვის ძირითადი საფუძვლის მართებულობას.

ამგვარად, მე დღეს უფლება მაქვს ვთქვა, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის კონკურსით ბლოკირებული სასწავლო ხაზების თაობაზე ჩემს მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს დაწყებული სააპელაციო პროცესი დასრულდა 2008 წლის 7 თებერვალს არა ჩემი, არამედ ჩემი და უნივერსიტეტის გამარჯვებით, რადგან მიუხედავად საკითხის დროში ხანგრძლივად მიმდინარეობისა, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტში საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან გაწონასწორებული დამოკიდებულებები გამოიკვეთა.

ამავდროულად, ხაზი მინდა გავუსვა ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი, ერთი მხრივ, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას და, მეორე მხრივ, თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის იმ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რასაც იგი იმავე მნიშვნელოვანი საკითხისადმი იჩენს!

საქმე ისაა, რომ მიუხედავად უკვე გამოკვეთილი საუნივერსიტეტო დამოკიდებულებისა, საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული სადეპარტამენტო განხილვის შედეგების გათვალისწინებით რ. ბოჭორიშვილს ჯერ კიდევ 2008 წლის 20 თებერვალს გადაუგზავნეთ 26/87 წერილი, რომელიც ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა. უფრო მეტიც, რ. ბოჭორიშვილმა არც კი გამაცნო მე, ამ წერილის ადრესატს, ამ წერილის შინაარსი! – არადა 26/87 წერილით, რომელიც ჩემი 2007 წლის 24 დეკემბრის მომართვის პასუხი იყო, თქვენ მას ეუბნებით „შეთავაზეთ ბ-ნ. კ. ფხაკაძეს მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი სასწავლო კურსი“. – არანაირი არც ამგვარი, და არც რაიმე სხვაგვარი შემოთავაზება მე ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანისგან არ მიმიღია!

ჩემი არაერთგზისი მცდელობებისა, რომ მას ემოქმედა თქვენი 26/87 წერილის შესაბამისად, რა მიზნითაც მე მას ჯერ 2008 წლის 27 თებერვალს (იხ. დანართი 2), მერე კი 2008 წლის 14 მარტს (იხ. დანართი 3) მივმართე, მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ 2008 წლის 11 აპრილს თქვენი 2008 წლის 20 თებერვლის საპასუხო წერილი და 2007 წლის განმავლობაში ამავე საკითხთან დაკავშირებით ჩემი მასთან შესული და მისგან უპასუხოდ დატოვებული მიმართვები არ ვიცი რისთვის გადაუგზავნა მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს.

არ ვიცი რისთვის, რადგან, რ. ბოჭორიშვილს არანაირი წერილობითი მითითება იმის თაობაზე, თუ რა კუთხით განეხილა საკითხი 17 აპრილს დანიშნულ პროფესორთა საბჭოს, გადაცემული მასალებისთვის არ მიუყოლებია!

თუმცა, გასაგებია, რომ ამ მასალებს ასეთ წერილობით მითითებას რ. ბოჭორიშვილი ვერც მიაყოლებდა, რადგან მასთან თქვენი 2008 წლის 20 თებერვლის წერილის შესვლის შემდეგ ჩემი საკითხი ჩაღვა არა განხილვის, არამედ გადაწყვეტის ფაზაში და, ასეთ შემთხვევაში, რაღა უნდა განეხილა პროფესორთა საბჭოს, გაუგებარია.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ ფაკულტეტის დეკანი ზედა საფეხურის საუნივერსიტეტო განხილვის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორისგან მასთან სააღმსრულებლო ფაზაში შესულ საკითხს ორი თვის თავზე მხოლოდ იმით ეპასუხება, რომ ამ უკვე გადაწყვეტილ საკითხს განსახილველად უგზავნის ამ ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს, ანუ იმ საბჭოს, რომლის წევრების სრულ შემადგენლობას იმავე უნივერსიტეტის რექტორთან იმავე საკითხის პირველადი ინიცირებისას მასზე მხარდაჭერითი ხელმოწერა უკვე გაკეთებული აქვთ?!

ბატონო რექტორო, თქვენ უკვე იცით, რომ მე იძულებული გავხდი ამავე საკითხთან დაკავშირებით წარმომედგინა თქვენთვის ვრცელი ნაშრომი სათაურით „ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“, რომელიც უკვე გამოქვეყნდა ამ მომართვაზე თანდართულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალში „ქართული ენა და ლოგიკა“ (იხ. დანართი 4, გვ. 112-176).

ამასთან, ჩათვალეთ, რომ თქვენ უკვე ეცნობით ფრაგმენტებს ნაშრომიდან პირობითი სათაურით „ფუჭად ზომ მანც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება! – ანუ, ფაკულტეტის პუნქტუალური დეკანის არაპუნქტუალური ვნებანი! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“.

ანუ, მე ვერაფრით ვერ შევძელი გასაგები გამეხადა რ. ბოჭორიშვილისთვის, რომ დახურული საექსპერტო და ღია სადისკუსიო განხილვის საფუძველზე თსუ სამეცნიერო კვლევებისა და

განვითარების დეპარტამენტის მიერ დადასტურებული საუნივერსიტეტო განწყობა „თსუ-ში მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივ ენათა ლოგიკის სასწავლო კურსის ინტენსიფიკაციის აუცილებლობაზე“ (იხ. დანართი 4) და თქვენი წერილი, ანუ თქვენი მინიშნება „შეთავაზეთ ბ-ნ. კ. ფხაკაძეს მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი სასწავლო კურსი“, მას განეხილა ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადის კონტექსტში.

ასეთი ხედვის შემთხვევაში ფორმალური ბარიერები საკითხის გადაწყვეტას ხელს კი არ უშლის, არამედ ზურგს უმაგრებს მას: **2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის „საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის“ დეკლარირებული პრინციპები ამ კონკურსით რეფორმირებულ უნივერსიტეტს ავალდებულებს მიიღოს ზომები კონკურსის დროს დაშვებული და უკვე დადასტურებული შეცდომის აღმოფხვრის მიზნითა და მიმართულებით!**

ამგვარად, ბატონო რექტორო, მიუხედავად იმისა, რომ რ. ბოჭორიშვილმა ეს ვერ გაიგო, მე მივიჩნევ, რომ „თსუ-ში მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივი ენათა ლოგიკის სასწავლო კურსის ინტენსიფიკაციის აუცილებლობაზე“ უკვე მიღებული საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების გათვალისწინებით რ. ბოჭორიშვილისადმი გაკეთებული თქვენი მითითება „შეთავაზეთ ბ-ნ. კ. ფხაკაძეს მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი სასწავლო კურსი“ ფაქტობრივ პირდაპირი და თანაც დადებითი პასუხია ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე. – ის, ეს ასეა, თუ არა, საბოლოოდ ამ საკითხის თქვენული განმარტებით დადგინდება.

მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ფაკულტეტი ვალდებული ხდება დააკმაყოფილოს თქვენი, ანუ ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის მხრიდან უკვე დადებითად პასუხგაცემული ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო მოთხოვნა.

შესაბამისად, ფაკულტეტი ვალდებული ხდება თსუ-ში 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზის აღდგენის და „მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივ ენათა ლოგიკის სასწავლო კურსის ინტენსიფიკაციის“, ანუ ასეთი სრული საბაკალავრო სასწავლო კურსის დანერგვის მიზნით დამატებით დაუმეცას სრული პროფესორის ერთი სამშატო ერთეული.

ამასთან, ბატონო რექტორო, თუ მე ვცდები, ანუ თუ თქვენ თვლით, რომ მე ჯერ კიდევ თქვენგან, ანუ უნივერსიტეტისგან ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე დადებითი პასუხი არ მიმიღია და, შესაბამისად, თუ თვლით, რომ ქართული ენის სამომავლო არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის მიზნით 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზების ბლოკირება არ უნდა განვიხილოთ როგორც უკვე დადასტურებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების მაიგნორირებელი გადაცდომა, მაშინ მე იძულებული ვხდები ეს პრობლემატური საკითხი გავიტანო უნივერსიტეტის გარეთ და იგი საზოგადოებრივი და სამართლებრივი განსჯის საგნად ვაქციო. – თუმცა, აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არანაირი სურვილი იმისა, რომ საკითხმა ასეთი ჩემთვის არასასურველი გაგრძელება მიიღოს, არ გამაჩნია!

უფრო მეტიც, იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ მოხდება და რომ ეს საკითხი უნივერსიტეტშივე გადაწყდება ისე, როგორც ამას ქართული ენის და, შესაბამისად, ქართველი ერის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზანი და პასუხისმგებლობა გვკარნახობს.

ბატონო რექტორო, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ერთწლიანი საუნივერსიტეტო შრომითი ხელშეკრულების გასრულების შემდეგ აღარ ვარ თსუ მკვლევარი და, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ თსუ აკადემიური საშტატო ერთეულის სტატუსი 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის შემდგომ მომეხსნა, მიმდინარე სემესტრში დაკომპლექტდა ჩემს მიერ წარდგენილი ბუნებრივი ენების ლოგიკის და ჩემი და ბ-ნ. გ. ჩიჩუას მიერ წარდგენილი მათემატიკური ლინგვისტიკის თავისუფალი, ანუ არასრული საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები (ამ კურსებიდან მე კვირაში ხუთსაათიანი დატვირთვა მაქვს და ხუთთვიანი კონტრაქტის საფუძველზე შესაბამის სახელფასო ანაზღაურებასაც ვიღებ). გარდა ამისა, მიმდინარე სემესტრში ვარ მათემატიკის მიმართულებით ოთხი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი (ამ შემთხვევაში, იმის გამო, რომ არ ვარ საშტატო დაფინანსებაში, მიუხედავად იმისა, რომ ოთხ საბაკალავრო ნაშრომს ვხელმძღვანელობ, გაწეული საქმიანობის შესაბამისი ანაზღაურების გარეშე ვრჩები¹).

ამგვარად, არანაირი ფორმალური ბარიერი, რომ ზემომოთხონილი საშტატო აკადემიური ერთეულით დაკავდე, არ არსებობს. ის საათობრივი დატვირთვები, რაც მე დღეს უნივერსიტეტში მაქვს, აქ აუცილებელ საათობრივ მოცულობებს სრულად ასახავს. ამგვარად, უკვე დღესვეა შესაძლებელი საკითხის გადაწყვეტა, რაც მომავალი სასწავლო წლიდან შესაძლებელს გახდის 2006 წლის კონკურსით გაუქმებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო საფეხურის სწავლების აღდგენას.

ამასთან, მე განსაკუთრებული პრინციპულობით ვაყენებ საკითხს ჩემი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში არა უბრალო ჩართულობის თაობაზე, არამედ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩემი

¹ რ. ბოჭორიშვილმა, 20 თებერვალს, როდესაც ჩემი თქვენდამი გაკეთებული 2007 წლის 24 დეკემბრის საპასუხო 26/87 წერილის სანახავად მასთან შევედი, იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ეს წერილი ენახებინა, ხელი დააფარა მას და ჩემ შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას იმის უფლება, რომ ჩემთვის არ გაეცნო ამ წერილის შინაარსი, თავის დაქნევით მიპასუხა. – იმავე დღით, რ. ბოჭორიშვილმა საფაკულტეტო შეღავათად ჩამითვალა ის, რომ შეზღუდვების მიუხედავად ოთხი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება მომეცა. ამასთან, იქვე ხაზგასმით მითხრა, რომ ამაში მე დამატებით ანაზღაურებას ვერ ავიღებდი, რადგან ეს ანაზღაურება უკვე ნავარაუდებია საშტატო აკადემიური ერთეულის სახელფასო განაკვეთში. – ახლაც ღიმილი მერევა სახეზე, როცა ეს მახსენდება! – ნაშრომში პირობითი სათაურით „ფუჭად ზომ მინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება! – ანუ, ფაკულტეტის პუნქტუალური დეკანის არაპუნქტუალური ვნებანი! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“ მე ფაქტობრივი მოცემულობების საფუძველზე საკმარისი სიცხადით დავასაბუთებ, რომ მან ჩემთან მიმართებაში უხეშად დაარღვია 2007 წლის ერთწლიანი საუნივერსიტეტო შრომითი ხელშეკრულების 2.2.1, 2.2.3, 2.2.4 და 2.2.5 პუნქტები, რომელთა მიხედვით დამსაქმებელი, ე.ი. უნივერსიტეტი, ვალდებულია იღებს „უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა, დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის“, „მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე“, „იზრუნოს სამეცნიერო კვლევებისა და პროფესიული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაზე“ და „უზრუნველყოს დასაქმებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში“. – ჩემს ზემოაღნიშნულ იმედს, რომ საკითხი უნივერსიტეტშივე გადაწყდება ისე, როგორც ამას ქართული ენის და, შესაბამისად, ქართველი ერის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზანი და პასუხისმგებლობა გვკარნახობს, ეს საუნივერსიტეტო დოკუმენტიც ესაფუძვლება. ხელშეკრულების ციტირებული პუნქტები გასაგებს ხდის მის დანიშნულებას 2006 წლის მძაფრი საუნივერსიტეტო კონკურსის ფონზე. – ამასთან, რ. ბოჭორიშვილმა, ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნა ჩემი და ჩემი მნიშვნელოვანი თემატიკის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით და მიმართულებით, მთელი 2007 წლის მანძილზე მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ეს ასე არ მომხდარიყო. – სწორედ მისი ამ ტენდენციური ქცევების შედეგი იყო ის, რომ მე თქვენ 2007 წლის 24 დეკემბერს განმეორებით მოგმართეთ. მისივე ტენდენციური ქცევების შედეგია ის, რომ ამჯერად უკვე მესამედ გეხმთანებით, არადა მე მზად ვიყავი კომპრომისზე და ყოველნაირად ვცდილობდი საკითხი საბოლოო გადაწყვეტამდე ფაკულტეტზე მიმეყვანა. თუმცა, დღეს უკვე დასაბუთებით შემიძლია იმის თქმა, და ნაშრომი სათაურით „ფუჭად ზომ მინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება! – ანუ, ფაკულტეტის პუნქტუალური დეკანის არაპუნქტუალური ვნებანი! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“ სწორედ ამის დასაბუთებულად თქმის მიზნებს მოხმარდება, რომ ეს მე ვერ შევძელი რ. ბოჭორიშვილის იმ პიროვნული განწყობის გამო, რომელიც უკეთეს შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგაა მომართული, უარეს შემთხვევაში კი იგი ეწინააღმდეგება ქართული ენის იმ სამომავლო არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის მიზანს, რომლის სამსახურშიც ბოლო თორმეტი წელია ვიმყოფები.

ჩართულობის უზრუნველყოფას 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსზე წარდგენილი ჩემი №85 საკონკურსო განაცხადისა და, შესაბამისად, ამ განაცხადთან დაკავშირებით ჩემი 2007 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო მოთხოვნის საფუძველზე. – ეს დღეს პრინციპულია ორი თვალსაზრისით: პირველი: ამით ზუსტად იმ წერტილიდან გაგრძელება ჩემი საუნივერსიტეტო ბიოგრაფია, სადაც ის ასე უმართებულოდ გაწყვიტეს. მეორე: ეს ფრიად მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომელნიც კარგად იცნობენ ამ საკითხის შემადგენლებს, და რომლებსაც აუცილებელია გაულრმავედეთ განცდა იმისა, რომ მიუხედავად მავანთა მცდელობებისა თანმიმდევრული, კონსტრუქციული და მიზანმიმართული ქმედებები შედეგობრივია!

ამასთან, მას შემდეგ, რაც აღმიდგება **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** სასწავლო ხაზებით კონკურსამდე არსებული მდგომარეობა, უკვე უნივერსიტეტის ფარგლებში ვიზრუნებ შესაბამისი საუნივერსიტეტო ლაბორატორიის ფორმირებისთვის, რათა შევძლო 2009 წლიდან ამ საკითხებით უკვე სიღრმისეულად დაინტერესებული პირველი თაობის საბაკალავრო კადრების დასაქმება და შემდგომი თაობის საუნივერსიტეტო კადრების აღზრდა.

ვიზრუნებ აგრეთვე ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით ბ-ნ. იაგო კალანდაძის სადეპარტამენტო დასკვნით განსაზღვრული გეგმის განხორციელებაზე, მით უფრო, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აუცილებლად დასაბრუნებელი ლინგვისტური მიმართულების დაბრუნება ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან თანამშრომლობის გარეშე მე თავადაც არ მიმაჩნია მართებულად.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მე, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ვიზრუნებ მეტყველების გამოცნობის მიმართულებით ამჯერად არფინანსირებადი თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელის ბ-ნ. გ. ჩიჩუას სააპრობაციო ფორმით უკვე გამზადებული მეტად მნიშვნელოვანი სადოქტორო დისერტაციის დაცვის საკითხების გადაუდებელ ორგანიზებაზე (ეს გულისხმობს ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სადოქტორო სწავლების გადაუდებელ ორგანიზებას).

ბატონო რექტორო, უნივერსიტეტის შიგნით მე რომ ვხედავდე ისეთ ვინმეს, რომელიც უჩემოდ შეძლებდა ჩემს მიერ ზემომოხაზული გადაუდებელი საკითხების წარმატებულ გადაწყვეტას, მე შეიძლება არც ვყოფილიყავი ჩემს სამართლიან მოთხოვნებში ასეთი პრინციპული! – როდესაც ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და ქართული მეტყველების კომპიუტერული ამომცნობის კონსტრუირების მიზნით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული და როდესაც ამ მიზნებით და თვალსაზრისებით მთელი რიგი ბუნებრივი ენები თითქმის ამომწურავადაა შესწავლილი და დამუშავებული, და თანაც, როდესაც ვერავინ იტყვის ათი-თორმეტი წლის შემდეგ უკვე რა სახის ბუნებრივენობრივი პროგრამული სისტემები და ტექნოლოგიები იქნება აქტიური საერთო მსოფლიო კულტურულ სივრცეში, სრულიად გასაგებია რაოდენ ითხოვს ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზანი ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელ ფორმირებას.

ბატონო რექტორო, იმედი მაქვს ამ და არა მხოლოდ ამ საკითხებზე გასაუბრების მიზნით გამოძებნით დროს ჩემთან და „**ქართული ენის, ლოგიკისა და გამოძველების ახალგაზრდული ჯგუფის**“ წევრებთან შესახვედრად. – ამ ახალგაზრდებმა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნების განსაკუთრებული ეროვნული დატვირთვების გათვალისწინებით ჯერ კიდევ სამი წლის წინ განსაზღვრეს თავიანთი თავი ამ საქმის

მომავლებად და ქომავლებად, რაც დასტურდება არამართო მათი ჯგუფური მიზნების, ამოცანებისა და ამ ეტაპობრივი სამოქმედო გეგმის მოკლე საპროგრამო განაწერით (იხ. დანართი 4 გვ. 177-179).

საქმე ისაა, რომ ჩვენ აუცილებლად მივიჩნევთ საუნივერსიტეტო სტუდენტური და არამართო სტუდენტური საზოგადოების ინფორმირებას იმ უკვე აღნიშნული რეალური საფრთხეების შესახებ, რაც დღეს მსოფლიოში ბუნებრივობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით ინტენსიურად მიმდინარე პროცესების ფონზე ქართულ ენას ემუქრება.

ამდენად, იმედი გვაქვს, რომ თქვენი მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ასეთი საგანმანათლებლო ხასიათის საუნივერსიტეტო ღონისძიების ორგანიზებას. ამასთან, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვან ჩანაფიქრს წაადგება თქვენი და ამ სტუდენტების შეხვედრა და გულწრფელი გაბაასება. თანაც, ისიც ცხადია, რომ ასეთი ღონისძიების სათანადოდ მომზადებას სულ ცოტა ერთი თვე მაინც სჭირდება, რაც გასაგებს ხდის საღონისძიებო თარიღისა და ადგილის წინასწარი შეთანხმების აუცილებლობას.

პატივისცემით,

ქართული ენის უფლებების დამცველი
კ. ფხაკაძე
2008 წლის 6 მაისის გიორგობა დღე.

P.S. ბატონო გიორგი, მომართვას თან ვურთავთ „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა“ და „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ ბეჭდით პროდუქციას. ეს გამოცემები ბიბლიოთეკის საკუთრებაა. ამიტომ, წინასწარვე გთხოვთ საკითხის განხილვის შემდეგ მათი დაბრუნების თაობაზე. ამასთან, ისინი ბევრად უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს აქ მძაფრად წამოჭრილ საკითხთა თაობაზე (იხ. დანართი 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11).

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო,

გამომდინარე დღეს მსოფლიოში ბუნებრივებრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით გლობალურად და ინტენსიურად მიმდინარე კვლევითი პროცესებიდან ჩვენ აუცილებლად მივიჩნევთ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას იმ საფრთხეების შესახებ, რასაც ეს პროცესები ქართულ ენასა და ქართულენობრივ კულტურულობას უქადის.

ამგვარად, გთხოვთ გაგვიწიოთ შესაბამისი საუნივერსიტეტო მხარდაჭერა საგანმანათლებლო ხასიათის სემინარის ორგანიზებაში სათაურით „ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“.

ამასთან, ცხადია, რომ ასეთი ღონისძიების სათანადოდ მომზადებას სულ ცოტა ერთი თვე მაინც სჭირდება, რაც გასაგებს ხდის საღონისძიებო თარიღისა და ადგილის წინასწარი შეთანხმების აუცილებლობას.

პატივისცემით,

ქართული ენის, ლოგიკისა და გამოთვლელის
ახალგაზრდული ჯგუფის წევრები:

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

/ნინო ლაბაძე/

/მარი ბერიაშვილი/

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანია/

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

/ბესო ჩიქვინიძე/

2008 წლის 13 მაისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას

ბატონო რექტორო,

უკვე 50 წელზე მეტია, რაც საერთო მსოფლიო მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევითი პროცესები სხვადასხვა ენების მათემატიკური თეორიების შემუშავებისა და სხვადასხვა ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით.

გამომდინარე ამ კვლევითი პროცესების კულტურული მნიშვნელობებიდან, ანუ გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის ვერშემუშავების და, შესაბამისად, საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ვერკონსტრუირების შემთხვევაში ქართველი ერი შეუძლო იქნება უზრუნველყოს ქართული ენის შემდგომი არდაკინებული არსებობა, ჩვენ ვერ კიდევ სამი წლის წინ განვსაზღვრეთ ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნები.

თუმცა, 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმამ, სრულიად არამართებულად დაბლოკა რა თსუ-ში ახლად დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკის საბაკალავრო სპეციალიზაცია და მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდული, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნა ეროვნულ მიზნებთან შეთანხმებულ ჩვენს ზემოაღნიშნულ სასწავლო მიზნებს.

ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაუჭიროთ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენას. – ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს შესაბამისად ჩვენივე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოეყალიბდეთ მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად.

იმედი გვაქვს, რომ თსუ აკადემიური საბჭოს, თსუ რექტორის და ფაკულტეტის საბჭოს შეთანხმებული მოქმედებით გამოიძებნება ამ არაუმნიშვნელო საკითხის გადამწყვეტი გზები. მით უფრო, რომ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა, ზოგადად განიხილა რა ზემოაღნიშნული საკითხები, 2008 წლის 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე ღიად დაადასტურა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის
სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანია/

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

02.06.2008

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელს,
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს

ბატონო რამაზ,

უკვე 50 წელზე მეტია, რაც საერთო მსოფლიო მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევითი პროცესები სხვადასხვა ენების მათემატიკური თეორიების შემუშავებისა და სხვადასხვა ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით.

გამომდინარე ამ კვლევითი პროცესების კულტურული მნიშვნელობებიდან, ანუ გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის ვერშემუშავების და, შესაბამისად, საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ვერკონსტრუირების შემთხვევაში ქართველი ერი შეუძლო იქნება უზრუნველყოს ქართული ენის შემდგომი არდაკინებული არსებობა, ჩვენ ვერ კიდევ საში წლის წინ განვსაზღვრეთ ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნები.

თუმცა, 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმამ, სრულიად არამართებულად დაბლოკა რა თსუ-ში ახლად დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკის საბაკალავრო სპეციალიზაცია და მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდული, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნა ეროვნულ მიზნებთან შეთანხმებულ ჩვენს ზემოაღნიშნულ სასწავლო მიზნებს.

ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაუჭიროთ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენას. – ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს შესაბამისად ჩვენივე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბდეთ მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად.

იმედი გვაქვს, რომ თსუ აკადემიური საბჭოს, თსუ რექტორის და ფაკულტეტის საბჭოს შეთანხმებული მოქმედებით გამოიძებნება ამ არაუმნიშვნელო საკითხის გადამწყვეტი გზები. მით უფრო, რომ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა, ზოგადად განიხილა რა ზემოაღნიშნული საკითხები, 2008 წლის 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე ღიად დაადასტურა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის
სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანი/

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

02.06.2008

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
პროფესორ გიორგი ხუბუას

ბატონო რექტორო,

ა/წ 2 ივნისს, მოგმართეთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაგეჭირათ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენისთვის. 10 ივნისს თქვენ საკითხი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით გადაუზავნეთ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს. 12 ივნისს პროფ. გ. ბარელაძემ ზეპირი შეტყობინების სახით მოგვაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ამ მომართვით წამოჭრილი საკითხი განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელი გაფართოებული საუნივერსიტეტო ჯგუფის სხდომაზე (თუ დასახელება არ გვეშლება!). ამავე ზეპირი შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ სხდომაზე საკითხის დადებით გადაწყვეტას, გამომდინარე მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან, სრულად დაეჭირა მხარი და რომ ამ განხილვისას გამოიკვეთა საკითხის გადაწყვეტის 2 ვარიანტი:

- 1 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენას მათემატიკის მიმართულების მიერ სამაგისტროდ წარდგენილ ერთ-ერთ პროგრამაში (საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტი ემთხვევა საკითხზე ჩვენეულ ხედვას);
- 2 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს მათემატიკის მიმართულებასთან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით მიმართულებათა შორის სამაგისტრო პროგრამის ფორმირებას.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ თანამხმა ვართ საკითხის გადაწყვეტის ორივე ვარიანტზე, რადგან ორივე შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა საშუალება მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად ჩამოყალიბებისა. თუმცა, ქვეყნისთვის სრულიად ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო ხაზის ფორმირების ლოგიკის, სირთულეების და საკითხის დროში შეზღუდულობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მართებულად მივიჩნევთ ზემოშემოთავაზებულთაგან საკითხის 1 ვარიანტის მიხედვით გადაწყვეტას. – ანუ, ჩვენ არ გვინდა, რომ მიუხედავად ამ კიდევ ერთი სრული მხარდაჭერისა, დროში არასწორად გაწერილი და არამართებულად გააზრებული მოქმედებების შედეგად საკითხი ამჯერადაც გადაუწყვეტელი დარჩეს!

ბატონო რექტორო, იმედი გვაქვს საკითხისადმი თქვენი შემდგომი ყურადღებებიანი დამოკიდებულებისა და კიდევ იმის, რომ იდეოლოგიურად სტუდენტის სასწავლო ინტერესებზე ორიენტირებული უნივერსიტეტი არ დაუშვებს იმას, რომ ეს საუნივერსიტეტო იდეოლოგია იგნორირებული იქნას ჩვენთან მიმართებაში. მით უფრო რომ, როგორც თქვენ უკვე იცით, ჩვენი ზემომოთხოვნილი საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნები პირდაპირ კავშირშია ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის
სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანი/

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

17.06.2008

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელს
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს,
ოსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს,
მათემატიკის, წმინდა მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის
სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს**

ა/წ 2 ივნისს, თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაეჭირათ მომავალი წლის ოსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენისთვის, მივმართეთ ოსუ რექტორსა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს. ამასთან, იქვე აღვნიშნავდით, რომ ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა შესაბამისად ჩვენივე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბებულიყავით მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად.

ა/წ 12 ივნისს, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტმა პროფ. ვ ბარელაძემ ზეპირი შეტყობინების სახით მოგვაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ამ მომართვებით წამოჭრილი საკითხი განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელი გაფართოებული საუნივერსიტეტო ჯგუფის სხდომაზე (თუ დასახელება არ გვემლება!). ამავე შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ სხდომაზე ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხის დადებით გადაწყვეტას, გამომდინარე მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან, სრულად დაეჭირა მხარი (გთხოვთ მოგვაწოდოთ ამ სხდომის აქ აღნიშნული სულისკვეთების ამსახველი დოკუმენტური მასალა, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მასალა, ან ოქმის სახით, ან ანგარიშის სახით, ან რაიმე სხვა სახით საერთოდ არსებობს!). ამავე ზეპირი შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ საუბარი იყო საკითხის გადაწყვეტის 2 ვარიანტზე:

- 1 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაში „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენის გზით (საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტი სრულად ემთხვევა საკითხზე ჩვენივე ხედვას).
- 2 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას მათემატიკის მიმართულებასთან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით მიმართულებათა შორისი სამაგისტრო პროგრამის ფორმირების გზით.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ საკითხის გადაწყვეტის ორივე ვარიანტზე, რადგან ორივე შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა საშუალება მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად ჩამოვყალიბებისა. თუმცა, ქვეყნისთვის სრულიად ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო ხაზის ფორმირების ლოგიკის, სირთულეების და საკითხის დროში შეზღუდულობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მართებულად მივიჩნევთ ზემოშემოთავაზებულთაგან საკითხის 1 ვარიანტის მიხედვით გადაწყვეტას. – ანუ, ჩვენ არ გვინდა, რომ მიუხედავად ამ კიდევ ერთი სრული მხარდაჭერისა, დროში არასწორად გაწერილი და არამართებულად გააზრებული მოქმედებების შედეგად საკითხი ამჯერადაც გადაუწყვეტელი დარჩეს!

ესე რომ არ მოხდეს, გთავაზობთ საკითხის გადაწყვეტის დროში მკაცრად გაწერილ გეგმას:

1. ოსუ მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭომ უახლოეს მომავალში (26 ივნისამდე!) მომავალი წლის სამაგისტრო საფეხურის სწავლებაზე უნდა წარადგინოს ან ერთი, ან ორი სამაგისტრო პროგრამა, რომელთაგან ერთ-ერთში „მათემატიკური ლინგვისტიკა“ ერთ-ერთ სამოდულო ხაზად იქნება განსაზღვრული. ამასთან, საბჭომ ოფიციალურად უნდა დაავალოს სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) შემადგენელი მოდულების ხელმძღვანელებს მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მოდულების საბოლოო სახით ფორმირება და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ამ მოდულების შიდასამაგისტრო თანამშრომლობის საკითხების მოწესრიგება. – ამასთან, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომ მიმართულებამ

წინა სასწავლო წელს ვერ მოახერხა არა თუ ორი, ერთი სამაგისტრო პროგრამის დაკომპლექტებაც კი, ჩვენი აზრით, ფიქრი იმაზე, გაკეთდეს ორი, თუ ერთი სამაგისტრო პროგრამის წარდგინება, გაუმართლებელია, როგორც ლოგიკური, ისე სტატისტიკური, ანუ, მთლიანობაში, შედეგობრივი თვალსაზრისით.

2. ამ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, თუ 26 ივნისამდე თსუ მათემატიკის მიმართულებას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უკვე განსაზღვრული ექნება მომავალი სასწავლო წლის სამაგისტრო პოლიტიკა, ჩვენ, 26 ივნისს დაგეგმილ საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე (იხ. დანართი), წარდგინებასა და რეკლამირებას გავუკეთებთ როგორც მიმართულების სამაგისტრო პროგრამას (ან პროგრამებს), ასევე ამ სამაგისტრო პროგრამაში (ან პროგრამებში) არსებულ მოთანამშრომლე მოდულებს. ამასთან, ბუნებრივია, უფრო მეტი მოცულობითა და დეტალურობით შევეხებით „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულს. – ასეთ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს გარდა კიდევ სხვა მსრუველებიც გამოჩნდებიან სამაგისტრო საფეხურის სწავლის თსუ მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ფარგლებში გაგრძელებისა. – ის, თუ რამდენ რამდენ მოდულიან სამაგისტრო პროგრამას წარადგენს მიმართულება, ცხადია, მიმართულების პროფესორთა საბჭოს გადასაწყვეტია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია წინა წლის წარუმატებელი გამოცდილება და ისიც, რომ წელს მათემატიკის მიმართულებით მხოლოდ ექვსი საბაკალავრო ნაშრომი კეთდება.

ნათელია, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულება მოვალეა საბაკალავრო სწავლების მეოთხე კურსის სტუდენტების საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის დასრულებამდე გააკეთოს მათთან თავისი სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ღია და საჯარო წარდგინება, როგორც პროგრამის (ან პროგრამების) სასწავლო მიზნებისა და ამოცანების, ისე მისი (ან მათი) ფინანსური ჩარჩოების გათვალისწინებით. – ასეთ, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მიმართულება შეძლებს სამაგისტრო პროგრამით (ან პროგრამებით) დროულად დაინტერესოს მიმართულების მიმდინარე წლის საბაკალავრო გამოშვების სტუდენტები (და არა მხოლოდ ისინი!).

გარდა ამისა, ასეთ, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მიმართულების სამაგისტრო პროგრამით (ან პროგრამებით) დაინტერესებულ ბაკალავრებს მიეცემათ საშუალება ან საბანკო-სასესხო, ან კერძო-საგრანტო, ან სახელმწიფო-საგრანტო დახმარების სახით დროულად უზრუნველყონ თავ-თავიანთი სასწავლო სამაგისტრო მიზნები.

ნათელია, რომ მიმართულების სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ზემოაღნიშნული სახის წინასწარი ღია და საჯარო არწარდგენის შემთხვევაში, საბაკალავრო სწავლების დამასრულებელი კურსის სტუდენტებს ფაქტობრივ ერთმევათ მათი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების დროში უწყვეტი და გააზრებული დაგეგმვის მათთვის ფრიად მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რაც, ბუნებრივია, მიმართულების მხრიდან სტუდენტების უფლებების უხემ დარღვევადაც კი შეიძლება შეფასდეს.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის
სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანია/

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

2008.06.17

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო, ა/წ 2 ივნისს ჩვენ მოგმართეთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაგეჭირათ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენისთვის, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემდა შესაბამისად ჩვენთვის არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბებულიყავით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის პირველ ქართულ სპეციალისტებად.

10 ივნისს თქვენ საკითხი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით გადაუგზავნეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს.

12 ივნისს პროფ. გ. ბარელაძემ ზეპირი შეტყობინების სახით მოგვაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ამ მომართვით წამოჭრილი საკითხი განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელი გაფართოებული საუნივერსიტეტო ჯგუფის სხდომაზე (თუ დასახელება არ გვეშლება!).

ამავე ზეპირი შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ სხდომაზე საკითხის გადაწყვეტას, გამოდინარე მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან, სრულად დაეჭირა მხარი და რომ ამ განხილვისას გამოიკვეთა მისი გადაწყვეტის ორი შესაძლო ვარიანტი:

1 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენას მათემატიკის მიმართულების მიერ სამაგისტროდ წარდგენილ ერთ-ერთ პროგრამაში (საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტი სრულად ემთხვევა საკითხზე ჩვენეულ ხედვას!).

2 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს მათემატიკის მიმართულებასთან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით მიმართულებათა შორის სამაგისტრო პროგრამის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით: ა/წ 24 ივნისს ჩვენ გვქონდა პირადი საუბარი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ბ-ნ რ. ბოჭორიშვილთან.

ჩვენს შეკითხვაზე აპირებდა თუ არა ფაკულტეტი საკითხის შემოაღნიშნული 1 ვარიანტის მიხედვით გადაწყვეტას მან გვიპასუხა, რომ უნივერსიტეტში მოდულებიანი სამაგისტრო პროგრამები დაშვებული არ არის, რაც ფრიად მოკლე ფეხებიანი ტყუილია.

გარდა ამისა, თუ, როგორც რ. ბოჭორიშვილი ამბობს, უნივერსიტეტში მოდულებიანი სამაგისტრო პროგრამები დაშვებული არ არის, მაშინ რატომ შემოგვთავაზა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელმა გაფართოებულმა საუნივერსიტეტო ჯგუფმა საკითხის გადაწყვეტის შემოაღნიშნული 1 ვარიანტი?! – ეს მით უფრო გაუგებარია ხდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ როგორც ჩანს უოქმოდ ჩატარებულ სხდომას თავად რ. ბოჭორიშვილიც ესწრებოდა.

ბატონო რექტორო, მაღლობას გიხდით 26 ივნისის საუნივერსიტეტო ღონისძიების ორგანიზებაში მხარდაჭერისთვის.

ამასთან, იმედი გვაქვს, რომ ვერ იქნება წარმატებული რ. ბოჭორიშვილის ის ჩვენთვის ყოვლად აუხსნელი მცდელობები, რომლითაც იგი ცდილობს დაიბლოკოს ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე მოძრაობა.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/

/ლაშა გურასაშვილი/

/ნიკოლოზ ვახანია/

/ალექსანდრე მასხარაშვილი/

25.06.2008

/ნიკოლოზ ფხაკაძე/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას

ბატონო რექტორო,

ა/წ 6 მაისს მოგმართეთ 7726/02 წერილით. მომართვას დანართის სახით თან ახლდა საკითხთან დაკავშირებული ვრცელი მასალა. ამასთან, თავად მომართვაში ფაქტობრივ ვითარებებზე დაყრდნობით მოკლედ იყო აღწერილი ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის ბ-ნ რ. ბოჭორიშვილის აგერ უკვე თითქმის ორწლიანი არაადეკვატური ქცევები ისეთ მნიშვნელოვან თემატიკასთან მიმართებაში, როგორცაა ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით უნივერსიტეტში ბოლო წლებში მიმდინარე ჩვენი მოძრაობა.

მოგესხენებათ ისიც, რომ ამ მოძრაობის ამ ეტაპობრივი ამოცანაა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნებით თსუ-ში 2004-2006 წლებში ჩემს მიერ ერთხელ უკვე დაფუძნებული და 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმით არამართებულად ბლოკირებული სასწავლო ხაზების აღდგენა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო სწავლების საფეხურზე.

ა/წ 25 ივნისს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ ჩემი ზემოხსენებული მომართვა გადაუგზავნეთ რ. ბოჭორიშვილს. ამასთან, ამ გადაგზავნილ მომართვას თქვენი მხრიდან თან ერთვის მხოლოდ ერთი, კერძოდ კი შემდეგი ფრაზა: „გთხოვთ მომელაპარაკოთ“.

ბატონო რექტორო, გთხოვთ, ეს თქვენს მიერ დაგეგმილი მეტად საჭირო მოლაპარაკება წარიმართოს ჩემი და თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებების საბაკალავრო სწავლების IV კურსის იმ სტუდენტების მონაწილეობით (ესენი არიან: ლ. აბზიანიძე, ლ. გურასაშვილი, ს. მასხარაშვილი, ნ. ფხაკაძე, ნ. ვახანია), რომლებიც გამომდინარე მათი საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებიდან და ამ მიზნების განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან აქტიურად ითხოვენ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში რეფორმით ბლოკირებული „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენას. – ასეთ შემთხვევაში რ. ბოჭორიშვილი ვეღარ შეძლებს თქვენთან ნამდვილი ვითარების არაშესაბამისი სურათის დახატვას. ანუ, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რ. ბოჭორიშვილს გაუჭირდება თქვენი მოტყუება და, შესაბამისად, ამ მნიშვნელოვანი საკითხის გასწვრივ თქვენი შეცდომაში შეყვანა!

პატივისცემით,

ხუთთვიანი კონტრაქტით
თსუ დოქტორი

/კ. ფხაკაძე/

P.S. ბატონო რექტორო, ამჯერად ხუთთვიანი საუნივერსიტეტო კონტრაქტით მიმყავს მათემატიკური ლინგვისტიკის (ბ-ნ გ. ჩიჩუასთან ერთად) და ბუნებრივი ენების ლოგიკის თავისუფალი კურსები. ამათგან პირველ კურსზე 21 მსმენელია, მეორეზე – 30. - ის, თუ რა ხდება ამ კურსებთან დაკავშირებით და რატომ შევაფასე უკლებლივ ყველა სტუდენტი ორივე კოლოქვიუმში მაქსიმალური 15 ქულიანი შეფასებით, მე მირჩევნია გითხრათ პირადი საუბრისას. ამასთან, აქვე პატივისცემით მოგახსენებთ იმასაც, რომ თუ თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი არ გაითვალისწინებს მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებების IV კურსის სტუდენტების სრულიად მართებულ და კეთილი ნების შემთხვევაში ადვილად გადასაწყვეტ მოთხოვნებს, მე, მომავალი სემესტრიდან, ზემოაღნიშნული ფორმატით უნივერსიტეტთან თანამშრომლობას აღარ გავაგრძელებ, რადგან ასეთი თანამშრომლობა, გამომდინარე საქმის სამომავლო ინტერესებიდან, შედეგობრივი ვეღარ იქნება!

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო,

ა/წ 30 ივნისს შედგა ჩვენი პირადი საუბარი უნივერსიტეტის დერეფანში. საუბარი იყო ჩვენი ა/წ 2 და 17 ივნისისა და 6 მაისის მომართვებით წამოჭრილ საკითხებზე. თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს საკითხები განხილვის პროცესშია. ამასთან, ითქვა ისიც, რომ უნივერსიტეტი აპირებს მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამაზე კონკურსის გამოცხადებას. ჩვენს შეკითხვაზე მოესწრობოდა თუ არა ამ საკითხის გადაწყვეტა მიმდინარე წლის სექტემბრამდე, თქვენ დამაიმედებელი პასუხი მოგვეცით. – ჩვენ გვანსოვს ეს სიტყვა და გვჯერა მისი.

მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ შეგხმთანებოდით: ბატონო რექტორო, ძირითადი მიზეზი ჩვენი მოძრაობის სიმძაფრისა განპირობებულია, ერთი მხრივ, იმ საფრთხეებით, რაც ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების მიზნით დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით ქართულ ენას ემუქრება და, მეორე მხრივ, იმ არასწორი დამოკიდებულებებით, რაც ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი რ. ბოჭორიშვილის დეკანობის პერიოდში ფაკულტეტზე ფიგურირებს.

ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის ვერშემუშავებისა და, შესაბამისად, საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ვერკონსტრუირების შემთხვევაში ქართული ენა ვერ გაუწევს კონკურენციას იმ ენებს, რომელთა ფარგლებშიც უკვე იქნება კონსტრუირებული ზემოაღნიშნულის სახის კომპიუტერული სისტემები.

ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროისთვის ქართული ენა კულტურული თვალსაზრისებით ქმედითუნარო ენათა რიგში მოექცევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ქართველი ერი იძულებული იქნება სასწავლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებათა განსაზოციელებლად ნაცვლად ქართულისა გამოიყენოს სხვა რომელიმე სრულმასშტაბიანად ტექნოლოგიზებული ენა, რაც, ჩვენ ვთვლით, გამოიწვევს ერის დღეს არსებული ენობრივ-კულტურული მთლიანობის დარღვევასა და მის ფრაქცირებას სხვადასხვა ენობრივ-კულტურული ფენების გასწვრივ.

ანუ, ასეთ შემთხვევაში, ქართველი ერის ერთი ნაწილი შეიძლება მიებას ინგლისურ ენას, მეორე ნაწილი გერმანულს, სხვა ფრანგულს, რუსულს, ესპანურს, ზოგი იაპონურს, ზოგი ჩინურს და ა.შ., რაც გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს როგორც ქართულ თვითმყოფადობასა და კულტურულობას, ისე ქართულ სახელმწიფოებრიობას! – ეს ცხადია.

არადა, იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ერი, მსგავსად სხვა მოწინავე ერებისა, შეძლებს თავისი ენის სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებას, მაშინ, ნაცვლად ერის ზემოაღნიშნული ენობრივი დაქსაქსულობისა ჩვენ გვეძლევა საშუალება ვუზრუნველყოთ დღეს მსოფლიოში გაფანტული თითქმის 10 მილიონამდე ქართველობის ენობრივ-კულტურული გამთლიანება! – ესეც ცხადია.

სწორედ ეს ორი შესაძლო პერსპექტივა და ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი უდიერი საფაკულტეტო დამოკიდებულებები არის ჩვენი ზემოაღნიშნული მძაფრი მოძრაობის მიზეზი. – ბატონო რექტორო, ჩვენ გვჯერა და გვეიმედება 30 ივნისს თქვენს მიერ საიმედოდ თქმული სიტყვის!

პატივისცემით, ქართული ენის უფლებების დამცველნი:

/ლ. აბზიანიძე/

/ლ. გურასაშვილი/

/ნ. ვახანია/

/ა. მასხარაშვილი/

/ნ. ფხაკაძე/

და

/კ. ფხაკაძე/

4 ივლისი, 2008 წელი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო, მოგმართავთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2008 წლის ფრიადოსანი კურსდამთავრებული სტუდენტები: ალექსანდრე მასხარაშვილი, ლაშა აბზიანიძე და ბესიკ ჩიქვინიძე.

ჩვენი არჩევანი, რომ გაგვეგრძელებინა სამაგისტრო სწავლება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამით, განისაზღვრა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების აუცილებლობით, რაც, თავის მხრივ, ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით არის განპირობებული. ამ საკითხებისადმი ჩვენი ამგვარი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება თავის დროზე თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით დაფუძნებული „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის“ სპეციალიზაციის არჩევით დადასტურდა. ამითვე იყო განპირობებული მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენის მიზნით ჩვენი თქვენთვის კარგად ცნობილი უშედეგო მცდელობები.

შეზღუდული არჩევანის პირობებში და ჩვენი ზემოაღნიშნული მიზნების შენარჩუნებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გადაწყვეტიტ სამაგისტრო საფეხურის სწავლების გაგრძელება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამით.

ბატონო რექტორო, დღეს არსებული საუნივერსიტეტო წესებით ზოგადად უნივერსიტეტში და მათ შორის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაგისტრანტთა 10% ფინანსდება, რაც მათემატიკის მიმართულებით მხოლოდ ერთ უფასო ადგილს უშვებს. ასეთ შემთხვევაში, თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი სამაგისტრო სწავლება განვითარდეს სახელმწიფო დაფინანსების პირობებში, გამორიცხულია.

ამგვარი ვითარება, ანუ ვითარება როდესაც წარჩინებული სტუდენტები, იმის ნაცვლად რომ სახელმწიფომ მისივე ინტერესების გათვალისწინებით მიზნობრივად გაიღოს მათზე დაფინანსება, ამ დაფინანსების მოსაპოვებლად ერთმანეთის კონკურენტები ხდებიან, ცხადია, დამანგრეველად იმოქმედებს და სრულიად არასწორი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი და აუცილებელი სამეცნიერო პროცესებისადმი.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, მიიღოთ შესაბამისი საუნივერსიტეტო ზომები ამ არასწორი დამოკიდებულებების დაუყოვნებლივი გასწორების მიმართულებით, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ქვეყანა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი ადგილობრივი კადრების არ არსებობის საფრთხის წინაშე დგება – გასაგებია, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი პრობლემის გადაწყვეტას არ ვითხოვთ.

პატივისცემით,
თსუ მაგისტრანტები

/ლ. აბზიანიძე/

/ა. მასხარაშვილი/

/ბ. ჩიქვინიძე/

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო, მოგმართავთ თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე და თანახელმძღვანელი გ. ჩიჩუა. ეს პროგრამა, რომელიც წელსაც თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის სახით უნივერსიტეტმა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საგრანტო დაფინანსებაზე წარადგინა, 2008 წლიდან ყოველგვარი შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების გარეშეა დარჩენილი, რაც 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმისას ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით რეფორმამდე უკვე დაფუძნებული სასწავლო ხაზების სრულიად გაუმათლებელი ბლოკირებითაა განპირობებული.

ბატონო რექტორო, თქვენთვის კარგადაა ცნობილი ზემოაღნიშნული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განსაკუთრებული აქტუალობა, რაც კიდევ ერთხელ ღიად გაცხადდა 2008 წლის 7 თებერვალს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო სემინარზე ბ-ნ ნ. სურგულაძის მიერ. ეს განცხადება მან დეპარტამენტის ფარგლებში ორგანიზებული იმ საექსპერტო განხილვის საფუძველზე გააკეთა, რომელიც საკითხთან დაკავშირებით თქვენს მიერ დეპარტამენტში გადაგზავნილ მასალებს ემყარებოდა.

სემინარზე მე მომეცა საშუალება წარმედგინა ზემოაღნიშნული პროგრამის კვლევითი მიზნების გათვალისწინებით მომზადებული ქართული მეტყველების ამომცნობი პროგრამული სისტემა და ბ-ნ კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით გასრულებული ჩემი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის წინასააპრობაციო ვარიანტი (200 ნაბეჭდი გვერდი). სემინარზე ცალსახად დაეჭირა მხარი როგორც სადისერტაციო ნაშრომის მაღალ აქტუალობას, ისე წარმოდგენილი შედეგების მაღალ ადგილობრივ მნიშვნელობებს.

საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე კვლევების საფუძველზე ჩემს მიერ ჩემთან მოთანამშრომლე სტუდენტების მონაწილეობით შემუშავებული პროგრამული სისტემის გარდა, ქართული მეტყველების ამომცნობი სხვა პროგრამული სისტემა არ არსებობს. არადა, სრულიად ნათელია, რომ ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის ვერ კონსტრუირების შემთხვევაში ქართულ ენას ახლო მომავალში საგრძნობლივ შეზღუდვა კულტურული აქტივობის შესაძლებლობები.

ის, რომ ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით მთელი რიგი ენობრივი სისტემები მათემატიკური თვალსაზრისებით თითქმის ამომწურავადაა შესწავლილი და ის, რომ ამ კვლევების საფუძველზე ამ ენებისთვის უკვე კონსტრუირებულია საკმარისი ძალის მეტყველების ამომცნობი სისტემები, ცხადს ხდის იმას, რომ ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის კონსტრუირების მიზნით საქართველოში მიმდინარე კვლევები შემდგომ აუცილებელ თანადგომასა და მხრდაჭერას ითხოვს.

ბატონო რექტორო, მოგახსენებთ, რომ ჩემი სადოქტორო თემისა და წინასააპრობაციო ნაშრომის წარდგინება მე გავაკეთე აგრეთვე ა.წ. 1 ივლისს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო სემინარზე და ა.წ. 25 ივლისს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სემინარზე. რომელსაც რუსთველის ფონდის წარმომადგენლობაც ესწრებოდა. ამასთან, მოგახსენებთ, რომ ჩემი კვლევის შედეგები ჩვენი ჯგუფური პრეზენტაციების, სემინარებისა და პუბლიკაციების მეშვეობით ფართოდ ცნობილია ამ საკითხებით დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისათვის, მათ შორის ჩემს შედეგებს კარგად იცნობენ და მხარს უჭერენ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით უკვე თითქმის გასრულებული ჩემი სადოქტორო თემის განსაკუთრებული აქტუალობიდან გამომდინარე ჩემთვის დაუშვათ მიზნობრივი დოქტორანტურა, რის გარეშეც, ბუნებრივია, მე გამიჭირდება ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის კონსტრუირების მიზნით უკვე წარმოებული კვლევების წარმატებული გასრულება. – ბატონო რექტორო, მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული მეტყველების შეუსწავლელობისა და მეტყველების ამომცნობაში მათემატიკური მეთოდებით მომუშავე ადგილობრივი სპეციალისტების თითქმის სრული არ არსებობის პირობებში ჩემი საკითხისადმი მიზნობრივ დამოკიდებულებათა აუცილებლობა სრულიად ნათელია!

პატივისცემით,

თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელი

/გ. ჩიჩუა/

24.09.08.